



გაზეთი გაიქცა
1930 წლის 5
ნოემბრიდან

samtredlismacne @ gmail.com

მაცნე

სამტრედიის

N29 (9316)

21 ნოემბერი, 2019 წელი

ფასი 50 თეთრი

ვეტირანების დღე ვეტირანებმა და ხელისუფლების წარმომადგენლებმა აღნიშნეს


2



“არ არის ადვილი, მერაბ კოსტავა ყოფილიყავი”

“მინდა, ჩემი უამოქმედავით უკეთესი გავხადო სამყარო”

8



4



7

ნინო სიტყვიანი ხელოვნების ის ნიშანია, როგორც დაუბრუნებს წარმოუდგენელია

3



რომ არა ინდოეთში, ჭადრაკს სამტრედიისში მოიგონებდნენ მამას სახელი ხომ ახ დაიქაჩოს!

სოხუმიდან ჩამოვიტანე მხოლოდ სანთებელა, ფორმა და სული

6

ვეტერანების დღე ვეტერანებმა და ხელისუფლების წარმომადგენლებმა აღნიშნეს

ნათია ნაცვლიძე

ვეტერანების დღე საქართველოში 17 ოქტომბერს აღინიშნება. 1995 წლის ამ დღეს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი "ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა შესახებ", რაც შემდგომში ვეტერანების დღის დაწესების საფუძველი გახდა. ქვეყნის მასშტაბით, ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის ორგანიზებით, სხვადასხვა სახის ღონისძიება იმართება.

სამტრედიის, დედის ძეგლთან არსებულ ხსოვნის მემორიალთან შეიკრიბნენ ხელისუფლების წარმომადგენლები, ვეტერანები, ვეტერანთა კავშირის ხელმძღვანელები. მათ პატივი მიაგეს ყველა ომში გარდაცვლილს, ვეტერანებს კი, დღევანდელი უსურვეს.

ელუარდ ახობაძე, ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის წარმომადგენელი სამტრედიაში:

"ჩვენს მუნიციპალიტეტში ეს სტრუქტურა ორი თვეა, არსებობს, დარსებულიდანვე მისი ხელმძღვანელი გახლავართ, დღევანდელ დღეს ვეტერანის დღეს აღნიშნავთ, დღეს აქ არის ყველა ომის ვეტერანი, დაკმაყოფილებული სახელმწიფო, აქ არიან როგორც მთელი მსოფლიო ომის, ისე აფხაზეთის, 91-92-93 წლების და 2008 წლის ომის მონაწილე ადამიანები. ვულოცავთ ერთმანეთს, ვიგონებთ გარდაცვლილებს და პატივს მივგავთ ყველა ვეტერანს".

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს, ნუგზარ ჯამბურას მივმართეთ კითხვით: რამდენად მივგავთ ჯეროვან პატივს ამ ადამიანებს?

– უპირველეს ყოვლისა, მინდა ყველა ვეტერანს მივულოცო მათი დღე, სახელმწიფო ვალდებულია ადამიანების მიმართ. მოგეხსენებათ, როგორ წარმოშობა საქართველოს უახლოესი ისტორია, ამ ადამიანებმა კეთილი ნებით მოიხადეს თავისი ვალი, განსაკუთრებით ქედს ვიხრით მათ წინაშე, რომლებიც დიდ სოფელში არიან, რომელთაც ყველაზე ძვირფასი, სიცოცხლე შესწირეს ქვეყანას და მარადიულ ჭაბუკებად დარჩნენ. ყველა აქ მყოფს ვულოცავ, წარმართებას, ბედნიერებას და სიყვარულს ვუსურვებ, ვისურვებდი ასევე, ეს ადამიანები

ჯეროვნად დაეფასებინოთ მომავალ თაობებს.

სერაპიონ ჭკუასელი: – გახლავართ აფხაზეთის ომის, სამაჩაბლოს ომის, თბილისის სამოქალაქო ომის მონაწილე, ვარ ყოფილი გვარდიელი, დღემდე მოვალწიეთ, ვართ ცოცხლები.

– ხართ დაფასებული, პატივები?

– პატივზე არ გვაქვს საუბარი, ჩვენ ჩვენი ქვეყნის დაცვა გვინდოდა მაშინაც, ახლაც და გვენდობება მომავალშიც. მაშინდელმა ზოგიერთმა ძალამ გადაიბრა ჭკუასუსტი ქართველები და დავიპირისპირდნენ და დაარქვეს ამას სამოქალაქო ომი, სინამდვილეში კი ეს იყო სამხედრო გადატრიალება.

კობა ძიძიგურს, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს მივმართეთ კითხვით: არიან თუ არა სათანადოდ დაფასებულნი ვეტერანები?

– როცა ჩვენ გარეგულ სამომარ ოპერაციებში ვიყავით ჩართულები, არც მაშინ ვფიქრობდით და არც ახლა ვფიქრობთ, იმიტომ ვიბრძოდით, ვინმეს დავეფასებინეთ. ჩვენ საქართველოს სიყვარულის გამო ვიბრძოდით და მივგაჩნია, რასაც ჩვენ ვაკეთებდით, მაშინ იყო აუცილებელი, მაღლობა უფალს, რომ შევძელით იმ საბრძოლო ოპერაციებში მონაწილეობა ქვეყნის დასაცავად, ჩვენი სამოს ყველა წვერი ასე ფიქრობს. ის რომ დაფასებულნი არ არიან ჯეროვნად ვეტერანები, არ არის სასურველი, ჩვენ არ გვაქვს პრეტენზია, რომ არ ვართ დაფასებულნი, მაგრამ მოდის მომავალი თაობა, იფიქრებენ, როცა ვეტერანებს არანაირი შეღავათი და პრიორიტეტები არ აქვთ, რისთვის ვიბრძოდით, თუკი მერე უყურადღებოდ ვიქნებით.

– არსებობს გამოთქმა: "დემეტოს და სამშობლოს არ ასამართლებენო", ალბათ ვეტერანები სამშობლოსთან პრეტენზიებით ვერ იქნებიან...

– არც სამშობლოსთან და არც მთავრობასთან პრეტენზიები არ გვაქვს, მაგრამ მომავალი თაობისთვის არის საჭირო, დაფასებულნი იყვნენ ეს ადამიანები, ყოველთვის დასჭირდება ბრძოლა ქვეყნისა და ყველას უნდა ჰქონდეს განცდა, რომ ქვეყნისთვის იბრძოდნენ და მათი დედაწილი იქნას აღიარებული.

მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე დავით ბახტაძე: "ვულოცავ დღევანდელ დღეს ყველა ვეტერანს, ვუსურვებ ყოველივე საუკეთესოს, დღევანდელ დღეს მრავალნაირი განწყობით შეიძლება შეხედეს ადამიანი, პირველ რიგში ამაღლებული განწყობით და იმის შეგნებით, რომ უამრავი არაჩვეულებრივი ადამიანი შეეწირა ქვეყნის კეთილდღეობას და ტერიტორიულ მთლიანობას, დამოუკიდებლობას, დღეს ვეტერანებთან ერთად გამოვდივით ხსოვნის მემორიალთან, პატივი მივგავთ ომში დაღუპულ პირებს. ძალიან მახარებს ის ფაქტი, რომ ჩვენთან ერთად არის მთელი მსოფლიო ომის ვეტერანი, ყველაზე ასაკოვანი, რევანს კანდელაი, რაც შეეხება სახელმწიფოს მხრიდან ყურადღებას, შეიძლება, ყველაფერი არ იყოს ისე, როგორც მოთხოვნა არის, მაგრამ დღევანდელ პირობებში რაც შესაძლებელია აქვს სახელმწიფოსა და ადგილობრივ თვითმმართველობასაც, ვცდილობთ, მაქსიმუმ გავაკეთოთ, რომ ამ ხალხს ჯეროვანი ყურადღება მივაქციოთ. ეს ხალხი მეტს იმსახურებს და ჩვენი მხრიდანაც იქნება შესაბამისი ნაბიჯები გადადგმული საამისოდ პერიოდულად."

აპოლონ ხაყალია, ვეტერანთა სამ-



ტრედიის რაიონული კავშირის თავმჯდომარე:

"ვზრუნავთ, რა თქმა უნდა, ვეტერანებზე, 4 სამამულო ომის მონაწილე გვაქვს მუნიციპალიტეტში, ჩვენი ძალებით ვზრუნავთ, სახელმწიფო დაფინანსება არ გვაქვს, დავდივართ ვეტერანებთან, ჩვენთან შემოდიან თავდაცვის, შსს, სას-

ჯვალდსრულების, სასამართლოს, პროკურატურის, პოლიციის და შრომის ვეტერანები."

ავთანდილ კაშია, ვეტერანთა სამტრედიის რაიონული კავშირის წარმომადგენელი: "ვულოცავთ სულით და გულით ჩვენს ვეტერანებს და ვუსურვებთ მათ წარმატებებს!"



უფასო სამედიცინო აქცია

რამდენიმე დღის წინ სამტრედიაში უფასო სამედიცინო აქცია ჩატარდა. ამჯერად ჩვენს მუნიციპალიტეტს 33 სხვადასხვა პროფილის ექიმი ესტუმრა. აქცია საქართველოს პარლამენტისა და მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით, ვეტერანთა საქმეთა სახელმწიფო სამსახურისა და ორგანიზაციის "ქართული ოცნება – ჯანმრთელი მომავალი" ორგანიზებით ჩატარდა. დიაგნოსტიკური კვლევები ჩატარდა მოსახლეობის სხვადასხვა სოციალურ ჯგუფს.

მსგავსი აქტივობები მომავალშიც გაგრძელდება. – აღნიშნა ორგანიზაცია "ქართული ოცნება – ჯანმრთელი მომავლის" ხელმძღვანელმა ქეთევან ბარათელმა. მან მუნიციპალიტეტის მერიას და განსაკუთრებით მერს, ვალდებულნი ფიცხვერიას მაღლობა გადაუხადა მხარდაჭერისთვის.

თავის მხრივ მაღლიერება გამოხატა ვალერიანე ფოცხვერიამაც ქალბატონი ქეთევან ბარათელისა და აქციაში ჩართული სამედიცინო ცენტრების მიმართ.

"საპრემიის მაცნე"



რომ არა ინდოეთში, ჭადრაკს სამტრედიისში მოიგონებდნენ მამას სახელი ხომ ახ დაიქაჩოს!

თბა ბაგუნაშვილი

უკვე მეხუთედ! იმისთვის, რომ მამას სახელი არ დაეარგოს, სულმოუთქმელი მოლოდინით ელოდება ოქტომბერს.

ხუთი წლის წინ მკა მანტიძემ ვეველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ სამტრედიას კარგი ადამიანი და ჭადრაკის საუკეთესო მწვრთნელი ანზორ მანტიძე საჭადრაკო ტურნირით ყოველწლიურად მოეგონებია. დახმარებისთვის მადლობის თქმა არც წინა წლებში და არც წელს დაეიწვინა ადგილობრივი ხელისუფლებისთვის. განსაკუთრებით კი კობა ძიძიგური დაეხმარა, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, ამიტომ მას განსაკუთრებული მადლობა მკა მანტიძისა და მისი ოჯახისგან. "მამანქმის შეილობა ძალიან შეამაყებდა და მისი სახელის არდავიწყებისთვის უკეთეს ვერაფერს გააკეთებდი. ადგილობრივი ხელისუფლება ვეველანაირად დაძებნარა ამ ტურნირის და შემორაილის დაარსებაში. თუმცა, განსაკუთრებული მადლობა კობა ძიძიგურს, რომ არა იგი, ძალიან გამიჭირდებოდა!" – ამბობს ტურნირის დამაარსებელი და ორგანიზატორი, მკა მანტიძე. ცდილობენ, საერთაშორისო რეზონანსი მისცენ ტურნირს, თუმცა, ბუნებრივია, ამას გარკვეული ფინანსური სირთულეები ახლავს. სამომავლოდ გამორიცხული არაფერია, მაგრამ ამ ეტაპზე ეს ვერ ხერხდება.

რაც შეეხება წლებიდან შეჯიბრს, მას წელს საქართველოს 8 რეგიონის 20-მდე მუნიციპალიტეტიდან 127

ცხოვრებაში, რადგან მამას სახელობის შემორაილი სწორედ ამ დროს იმართება სამტრედიისში!" – აღნიშნავს მკა მანტიძე.

წუნს ვერც საორგანიზაციო ნაწილს დასდებდა. ადგილობრივი მერიის კულტურისა და სპორტის სამსახურის მიერ ორგანიზებული ტურნირი ხუთი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა. გამგებლის მოადგილე დავით ბახტაძე აღნიშნავს, რომ: "ისეთი ინტელექტუალური თამაში, როგორც ჭადრაკი, ჩვენს ახალგაზრდობას ხელს შეუწყობს კიდევ უფრო მეტად განვითარებაში ეს ჩვენს ქვეყანას განსაკუთრებით სჭირდება! მისასაღებელია ახალგაზრდების ამ სპორტით დაინტერესება. ჩვენი მხრიდან მცდელობა არ დაგვევლია და არ დაგვევლია მსგავსი ტურნირების ჩატარებას. შემდეგ იმ წარმატებებს ვისურვებთ და მომავალი წლისთვის უკვე გეპატიჟებით ამ ტურნირზე."

ჭადრაკი ინდოეთში რომ არ გამოეგონებინათ, მას სამტრედიისში გამოიგონებდნენ – ასე სამტრედიელების ამ ინტელექტუალური სპორტისადმი დაინტერესებას და ამ სფეროში მიღწევებს აფასებს იმერეთის ჭადრაკის ფედერაციის გენერალური მდივანი ალექსანდრე არსენიძე, რომელიც ამ ტურნირის მთავარი მსაჯი გახლდათ. მისი ეს სიტყვები, შეიძლება ითქვას, ნაწილობრივ იმ დღესვე დადასტურდა. 14 ოქტომბერს სამტრედიისში დავით ჯოჯუას საჭადრაკო კლუბი გაიხსნა. დავით ჯოჯუა უკვე კარგად ცნობილი ახალგაზრდა მოჭადრაკეა, რომელსაც საჭადრაკო წრეებში განსაკუთრებულ პატივს სცემენ. სამტრედიისში გასართობ ცენტრ "დიგას" ტერიტორიაზე ამერიიდან იფუნქციონირებს მისი საჭადრაკო კლუბი, სადაც პროფესიონალი მწვრთნელები იზრუნებენ ჭადრაკით დაინტერესებულ ახალგაზრდებზე. დავით ჯოჯუა, როგორც ანზორ მანტიძის საყვარელი მოსწავლე, ტუ-

ბა სჭირდება."

"ამ ტურნირში მონაწილეობას ტიტულოვანი მოჭადრაკეებიც იღებდნენ, ისეთები როგორებიც არიან მსოფლიო ჩემპიონი შშმ მოჭადრაკეებს შორის, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წევრი, ევროპის ჩემპიონი 7 წლამდე, სხვადასხვა შეჯიბრებისა და ჩემპიონატის პრინციპები. მადლობა ვეველა იმ ადამიანს, ვინც თავის დროზე ხელი შეუწყო ამ შემორაილის დაარსებას და შემდეგ ყოველწლიურად გვეხმარება მის გამართვაში. მადლობა ამ ბავშვების მშობლებს და განსაკუთრებული მადლობა მათ მწვრთნელებს!" – ამბობს ტურნირის მთავარი მსაჯი ალექსანდრე არსენიძე.

მიუხედავად იმისა, რომ ელოდნენ, ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი გიორგი გიორგაძე და ტიტულოვანი მოჭადრაკე ნანა იოსელიანი ტურნირის საპატიო სტუმრებად გარკვეული მიზეზების გამო ვერ ჩამოვიდნენ.

დაჯილდოვება სევეტიცხოვლობის დღესასწაულს დაემთხვა. საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე და ამ ტურნირის განსაკუთრებული გულშემოთმობით კობა ძიძიგური, ამ დღი დღესასწაულის მილოცვის შემდეგ აღნიშნავდა: "არ აქვს მნიშვნელობა, გამარჯვდა თუ არა ვინმემ ამ ტურნირში, მათი გონება იმდენად გახლავთ გაგარჯიშებული, რომ მომავალი წარმატებები გარანტირებული აქვთ, საჭადრაკო და სხვა სფეროშიც. საოცარი თამაში, საოცარი სპორტია ჭადრაკი. მისი პოპულარიზაცია ახალგაზრდებში ვეველანე საშური საქმეა, რასაც მომავალი თაობისთვის ვაკეთებთ. მისასაღებელია ამ და მსგავსი ხასიათის ტურნირებით ახალგაზრდების დაინტერესება. ჩვენი მხრიდან ვეველაფერს ვაკეთებთ და ვაკეთებთ მომავალშიც, ანზორ მანტიძის სახელობის შემორაილის არათუ ჩასატარებლად, არამედ მისი მასშტაბების გასაზრდელად."



მონაწილე ჰყავდა. მათ შორის იყვნენ როგორც პროფესიონალი, ისე არაპროფესიონალი მოჭადრაკეები. განსაკუთრებულად მიესალმნენ წარმომადგენელს სოხუმიდან! "ტურნირის მიმართ ამხელა ინტერესს არ ველოდი, მით უმეტეს, რომ მას წინ უძღოდა ნონა გაფრინდაშვილისა და მაია ჩიბურდანიძის სახელობის ტურნირები. მეგონა, ბავშვები დადილები იქნებოდნენ და კიდევ ერთ შეჯიბრში მონაწილეობისგან თავს შეეკავებდნენ. სასიამოვნოა, ამ შემორაილისადმი ამხელა ინტერესი. ბოლო ხუთი წელია, ოქტომბრის 10-დან 15-მდე პერიოდი ვეველანე მნიშვნელოვანი გახდა ჩემს

რნირის საპატიო სტუმარი გახლდათ. მან პირველ მასწავლებელზე დიდი პატივისცემითა და სიყვარულით ისაუბრა და როინ ნადირაძის სახელობის ის ტურნირი გაიხსენა, რომელიც პირველი იყო მის საჭადრაკო ბიოგრაფიაში. რაც შეეხება ახალგაზრდების ჭადრაკით დაინტერესებას, აღნიშნა: "მისასაღებელია, რომ ამ სფეროთი ახალგაზრდების დაინტერესება სულ უფრო მატულობს. შესაძლებელია და რეზურსებიც ბოლო წლებში გაცილებით უკეთესია. დამეთანხმებით, ჭადრაკით დაინტერესება ძალიან კარგი ტენდენციაა გონიერი თაობის აღსაზრდელად და ამას განსაკუთრებული ხელშეწყო-

ფულადი პრიზებით დაჯილდოვდნენ როგორც სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში გამარჯვებულები, ასევე წარმატებული მწვრთნელები. ანზორ მანტიძის ტურნირის გამარჯვებული ანზორ მანტიძის საყვარელი მოსწავლე სიმონ ხაყალია გახდა. ტურნირის ფარგლებში გაიმართა სახალისო შეხვედრა ანზორ მანტიძის ყოფილ მოსწავლეებს შორის. აქაც გამარჯვება სიმონი გახდა. სახალისო ხედა წილად, აღსანიშნავია, რომ ანზორ მანტიძის სიტყვებში, რომლებიც ევროპელები არიან და ბატონ ანზორს მხოლოდ გადმოცემით იცნობენ, დააწესეს ფულადი პრიზები, რომელიც სახალისო ტურნ-

ირის პირველ, მეორე და მესამე ადგილზე გასულ მონაწილეებს გადაეცათ. "ყოველთვის ვცდილობ, დრო გამოენახო ამ ტურნირში მონაწილეობის მიხედვად. ასე მინდა გამოეხატო პატივისცემა ჩემი საყვარელი პედაგოგის, ანზორ მანტიძის მიმართ. მართლა მიხარია ეს წარმატება, რადგან იგი მის სახელს უკავშირდება." – აღნიშნა სიმონ ხაყალიამ.

ანზორ მანტიძის სახელობის შემორაილი, რომელიც სამტრედიელების მხრიდან ერთგვარი სამადლობელია მის მიმართ, მომავალი წლის ოქტომბერში კვლავ გაიმართება. როგორც მისი დამაარსებლები ვარაუდობენ, ყოველწლიურად გაზრდილ მის მასშტაბებს, სამომავლოდაც წარმატებული სტარტი ელოდება.

“არ არის ადვილი, მერაბ კოსტავა ყოფილიყავი”

ქათიანი ჭიჭიანი

ცას არღვევდა “შავლეგ, შენი შავი ხოხა, შავლეგო!”

სივდილზე გამარჯვებული გმირის სადიდებლად შეკრებილიყვნენ ჩოხოსნები, ისინიც, კისთვი-საც დღემდე ჩაუქრობელ კლავატრად ანთია მერაბ კოსტავას ხსოვნა. ვინც თვლის, რომ ერთი, კონკრეტული ადამიანთა გგუფის, ან, თუნდაც, პოლიტიკური პარტიის კი არა, მერაბ კოსტავა მთელი საქართველოს დარდი და სიამაყეა. სადაც “სული ამალდა ზეცად” და “კაცი ლეგენდად იქცა”, ყველას გასახსენებელი ადგილია, ჩვენი ერთიანობის დასტური, როგორც მაშინ, 13 ოქტომბერს, 30 წლის წინ.

ბოროთი... ცენტრალური გზატკეცილი... მანქანების შეჯახების გამყინავი ხმა და უღვთოდ დადენილი სისხლი...

ასე მოუკვდა ერს მერაბ კოსტავა, საქართველოს შიშველი სატევარი, ფხიზელი სინდისი, პიროვნება სავსე ქართული პატიოსნებით, “მამულზე ჯავრით” გაზრდილი და მისთვის თავშეწირული ჭეშმარიტი ქრისტიანი, ტრაგიკული, მაგრამ არა დაცემული, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მებრძოლად, თავისუფალი და თავისუფლებისთვის მებრძოლი.

მერე მთაწმინდისკენ მიმავალი ყვავილებით მოფენილი და ცრემლით დაღვრილი გზა, დაზრდილი დროშები და შეიღებულად დიდის გოდება, სამარის კართან უერთგულესი მეგობრის, თანამოაზრისა და თანამებრძოლის, ზვიად გამსახურდიას მიერ დაღვენილებული: როგორ გთხოვდი, თავს გაუფრთხილდიო!

როული და ამოუწურავია საქართველოს ბედთან თანაზიარი მერაბ კოსტავას ცხოვრება. კიდევ ერთი შავლეგოს, საქართველოს ეროვნულ გმირად შერაცხული კაცის ისტორია.

ტრადიციულად, 2019 წლის 13 ოქტომბერსაც მთელი საქართველოდან მივიდნენ “კონსერვატიული პარტიის” წევრები ბოროთში. იმ ადგილზე, სადაც ტრაგიკულად დაიღუპა მერაბ კოსტავა და სადაც მისი ხსოვნის უკვდავსაყოფად მემორიალია აღმართული. სამტრედიის წმინდა დავით აღმაშენებლის სახელობის საკათედრო ტაძრის მშენებლობისას ზვიად ძიძიგურის ინიციატივით დამზადდა იგი, მონუქურთმდა და



დაიდგა კიდევ. “მერაბს საქართველოსგან” – ამოუტვიფრავთ მასზე. “სახელისა შენისათვის უფალი მაცხოვრე მე და სიმართლითა შენითა გამოიფანო ჭირისაგან სული ჩემი” – მემორიალზე ციტატა 142-ე ფსალმუნიდანაა დატანილი. მას კიდევ ერთი, ზვიად გამსახურდიას მიერ მერაბ კოსტავასადმი მიძღვნილი ლექსიდან წარწერა ამშვენებს: “სამშობლოსათვის ჯვარზე ვნებულე, სასუფეველში შეხვალე, იცოდე!”

იმ დღის მონაწილეებმა ყვავილებით შეამკეს მემორიალი. როგორც ყოველ წელს, ამჯერადაც დეკანოზმა მირიან სამხარაძემ გადაიხადა ეროვნული გმირის სულის მოსახსენებელი პარაკლისი.

ლონისძიებამო წმინდა მეფე თამარის სახელობის სკოლა-პანსიონისა და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სკოლის მოსწავლეები მონაწილეობდნენ. პატრიოტულ თემზე შექმნილი ლექსი და სიმღერა ეფინებოდა გარემოს, მომავლის იმედით გავსებდა და განწვობას კიდევ უფრო ამალდას ხდიდა. მერაბ კოსტავა გაიხსენეს და შეკრებილ საზოგადოებას სიტყვით მიმართეს მისმა თანამებრძოლებმა, პარლამენტარებმა ზვიად ძიძიგურმა, ბიძინა გუჯაბიძემ, გიგა ბუკიამ, კობა ლურსმანაშვილმა, ხარაგაულის საეროების წევრმა გია თავზარაშვილმა.

მოგონებები აიშალა და იმ დღეს ბევრი ითქვა ფენომენალურ კაცზე, ხელოვანზე, პოეტზე... და მაინც დისიდენტ-

სა და ეროვნულ მოღვაწეზე. როგორც პარლამენტარი ბიძინა გუჯაბიძე გვეუბნება: “ზუნებრივია, ქართველი კაცისთვის ეს დღე მნიშვნელოვანია. იგი დაკავშირებულია ორ რამესთან: ტკივილთან, რომელიც დიდი კაცის გარდაცვალებას უკავშირდება. მერაბი ეროვნული გმირი იყო და მისი ამქვეყნიდან წასვლა ძალიან დაგვიკლდა. ამავე დროს არის შეხსენება, რომ საქართველოს ჰყავდა ასეთი კარგი კაცები, კარგი ადამიანები, დიდი პიროვნებები, გმირები. თუ მათ ჩვენ ვერ დავაფასებთ, სახელმწიფო არ გვექნება, არც ქვეყანა გვექნება. მომავალ თაობებს ვერ გავზრდით თავდადებულ ადამიანებად. ძალიან კარგი დღეა იმ გაგებით, რომ ახალგაზრდა თაობა მოდის აქ და თავისი დიდი მამულიშვილის საქმიანობას ეცნობა. გამგულ-გამოგულეც ხედავს, თუ როგორ ვიფრთხილებით და პატივს მივადებთ მერაბ კოსტავას ხსოვნას. ასე რომ, ეს დღე ტრაგიკულიც არის და ამალდასული განცდაც ახლავს თან.”

“30 წელი გავიდა, რაც მერაბი ტრაგიკულად გარდაიცვალა.” – გაიხსენა პარლამენტარმა ზვიად ძიძიგურმა. – “ჩემი ასაკის ხალხისთვის, უფრო ახალგაზრდებისთვის, ვინც აქტიურად იყო ჩართული ეროვნულ მოძრაობაში, მათ ხსოვნაში მერაბს განსაკუთრებული ადგილი აქვს. ის რომ ცოცხალი ყოფილიყო, დარწმუნებული ვარ, საქართველოს პოლიტიკური ცხოვრება კი არა, საქართველოს პოლიტიკური რუკა იქნებოდა სხვაგვარი. ტრადიციულად ვიფრთხილებთ აქ, ვცდილობთ, ახალგაზრდები ჩაერთონ ასეთ ღონისძიებებში. მერაბი იყო ქართული ეროვნული მოძრაობის შავლეგო. ამიტომ სიმბოლურია, რომ ჩოხებით, ეროვნული სამოსით ვიფრთხილებთ.

ძალიან მინდა, რომ ახალგაზრდებს ახსოვდეთ მერაბი, თავიანთი გმირები. არ შეიძლება ჩვენი წარსულის დავიწყება, კაცის, რომელიც ამბობდა, ჩვენ უნდა გვეყვარდეს ეროვნული მოძრაობა და არა საკუთარი თავი ეროვნულ მოძრაობაში. დიდი კაცი იყო და დემოტომა გაანათლოს მისი სული! როდესაც გადასახლებიდან ჩამოვიდა, ურეკადნენ უშიშროების თანამშრომლები და უშვერი სიტყვებით აგინებდნენ. მერაბი ასე პასუხობდა: რამდენიც არ უნდა მაგინო, ქართველი ხარ და მაინც მიყვარხარო. მიატოვეს შემდეგ მასთან ასეთი ტიპის რეკვი. მიმტვევებელი, შემრიგებელი იყო. მაშინ ეროვნულ მოძრაობაში დაპირისპირებები არსებობდა. ზოგი რადიკალურ გზას ირჩევდა, ზოგი კონსტრუქციული ფორმების მოძიებდა. მერაბი იყო შემრიგებელი, ისეთი შემაჯავებელი ფაქტორი იყო, რომ, ამ დაპირისპირებების მიუხედავად, ეროვნული მოძრაობა ერთ

მოლიან ორგანიზმს წარმოადგენდა.” ბატონმა ზვიადმა მერაბ კოსტავასთან მისი პირველი შეხვედრაც გაიხსენა. დღესაც იმ შთაბეჭდილებების ქვეშ ვარო, თქვა. “სამტრედიამო შევხვდით პირველად, წვევამდელების საპროტესტო აქციაზე, რომლებიც საბჭოთა ჯარში წასვლაზე ამბობდნენ უარს. საქართველოში ამ აქციის კურატორები იყვნენ მერაბ კოსტავა და ირაკლი ბათიაშვილი. ჩამოვიდნენ ისინი სამტრედიამო. გვიანამდე ვისაუბრეთ. ბატონი მერაბი სუფრაზეც დაგვეწვია, იმღერა კიდევ. საქართველოზე თავისი შეხედულებები გავაცნო და ერთი ასეთი საოცარი ფრაზაც თქვა, 1989 წლის გაზაფხული იყო,



საქართველო მალე განდგება დამოუკიდებელი და შემდეგ ამის შენარჩუნება იქნება ჩვენი მთავარი ამოცანაო. გაოგნებული ვუყურებდი, როგორ თუ მალე განდგება-მეთქი. ვიფრთხილებთ, რომ ეს 10 ან 20 წელიწადში შეიძლება მომხდარიყო. ორი წელი გავიდა და ჩვენ დამოუკიდებლობა გამოვაცხადეთ, საბჭოთა კავშირიც დაიშალა. დამოუკიდებლობა და მისი მონაპოვარი ნამდვილად შესანარჩუნებელი გახდა. წინასწარმეტყველური აღმოჩნდა სამტრედიამო მისი სიტყვები.”

“მერაბ კოსტავას გარდაცვალება მეხის გაგარდნა იყო”, – ასეთ შეფასებას აძლევს ფაქტს სამტრედიის წმინდა მეფე დავით აღმაშენებლის სახელობის საკათედრო ტაძრის მშენებლობის ხელმძღვანელი, ბატონი ჯონი ნადირაძე. – “ასეა დღესაც. მე იმ სამტრედიელის შორის აღმოჩნდი, მისი დაკრძალვის დღეს ამ გზაზე პირველად რომ გაიარა.

გაჩერდით და პატივი მივაგეთ გარდაცვლილის ხსოვნას. სამტრედიიდან 50-კაციანი დელეგაცია წავიდა თბილისში, მაშინ მე სატრანსპორტო საწარმოს ხელმძღვანელი ვიყავი. ზვიად ძიძიგურმა, რომელიც სამტრედიამო ეროვნული მოძრაობის დაჯგუფებას ხელმძღვანელობდა, მოხოვა, დაგვიმარებოდა. სრულიად ახალი “იკარუსი” გვეკონდა მიღებული და იმ ავტობუსით ჩავედით იქ. ახლაც მახსოვს მძღოლები რომინ მეგვნიშვილი და ანზორ გაბელავა. ზვიადს გაუკვირდა კიდევ, როცა ვუთხარი, მარტო მანქანა არ მომიყვანია, მეც თქვენთან ერთად მოვდივარ-თქო. ყველანი სრულიად ახალგაზრდები იყვნენ. სადგურიდან ოთარ შანიძემ გავაცალა. სამტრედიელების გვირგვინი გამორჩეული იყო. პროცესიაზე ჩვენი გვირგვინი მიპქონდათ წინ. ეს იყო ყველაზე გრანდიოზული გასვენება თბილისში. ადამიანთა მხოლოდ ცოტა ნაწილმა მოახერხა საფლავთან მივსული. თუმცა, ზვიად გამსახურდიას მიერ ისე იყო ორგანიზებული, ცენტრი და უბნები რადიოფიციურებული, რომ რაც მოაწმინდას ხდებოდა, ყველას ესმოდა.

როცა ეს სტელა დაიდგა, მაშინაც დიდი შეკრება იყო. მას შემდეგ ყოველ წელს ვიფრთხილავთ აქ. მერაბი საქართველოს უნდა ახსოვდეს. მან და ზვიადმა ისეთი რამ გააკეთეს, რაც ისეთმა ბუმბერაზებმა, როგორებიც ილია ჭავჭავაძემ და “თერგალეულები” იყვნენ, ვერ შეძლეს. ჯერ კიდევ 1953 წელს, 15 წლის ბიჭვინამ, თავის მეგობრებთან ერთად შექმნეს ორგანიზაცია, რომელსაც “გორგასლიანი” დაარქვეს. 1956 წელს პირველი პროლაშადი გააფრთხილეს, რითაც დამოუკიდებლობისკენ მოუწოდებდნენ ქართველებს. დააპატიმრეს და იქიდან იწყება გზა, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობით დამთავრდა. ძალიან ბევრს ეცადნენ, მერაბი და ზვიადი დაეპირისპირებინათ, მაგრამ არაფერი გამოვიდა.

დემოტომა გაანათლოს მერაბ კოსტავას სული, მჯერა, რომ სასუფეველშია. სიმბოლურია, რომ ამდენი წვალების შე-

მდეგ ზვიად გამსახურდიას ნეშტმა მთაწმინდაზე მერაბის გვერდით დაივანა და დღეს ორივე გმირი ერთად განისვენებს.”

კობა ძიძიგური – სამტრედიის მუნიციპალიტეტის საეროების თავმჯდომარის მოადგილე: “დღეს არის მერაბ კოსტავას გარდაცვალების დღე. მე ვიტყვი, მისი მარადიულ საფლავში გადასვლის დღე. ზვიად გამსახურდიასთან ერთად მან მთელი თავისი ცხოვრება შესწირა საქართველოს. ეს ორი ვაჟკაცი ხმალშემართული ებრძოდა საბჭოთა კავშირის იმპერიას, რომელიც მაშინდელ მსოფლიოს აზნაურებდა. მერაბის დაღუპვა ტრაგედია იყო მთელი საქართველოსთვის, ზვიად გამსახურდიასთვის, რომელმაც უერთგულესი მეგობარი დაკარგა. მერაბის საქმემ გაიმარჯვა. მისმა თანამებრძოლმა ზვიად გამსახურდიამ შესძლო, მთელი მათი ბრძოლის შედეგისთვის მიეღწია. მათ თავიანთი ვა-





ლი მოხადეს ქვეყნის წინაშე. მერაბს, როგორც ქართველს, რაინდს, მთელი საქართველო პატივს სცემდა და ქედს იხრიდა მის წინაშე.

მემორიალი, რომელიც აქ დგას, ზეიად ძიძიგურის ინიციატივით გააკეთეს სამტრედიელებმა. გახსოვთ, ალბათ, აქ რეინის ჯვარი იდგა. როცა სამტრედიამო საკათედრო ტაძრის მშენებლობისთვის ქვანე მუშაობა დაიწყო, ბევრი სტელა ვნახეთ. ერთ-ერთი შეარჩია ზეიადმა, გააკეთეთ, წამოვიდეთ და დავდეთ კიდევ. ყოველწლიურად მოვიდვართ ამ ადგილზე ჩოხებით. ზეიადი და მერაბი სულის, ძარღვის მატარებლები და ტრადიციების დამცველები.

თქვა ბორითში, რომ 13 სექტემბერი პარლამენტარ გიგა ბუკიას დაბადების

ის დღე იყო. თავად ბატონი გიგას განმარტებით, ეს დღე მას განსაკუთრებით მწარედ დაამახსოვრდა. დასძინა, რომ “მერაბ კოსტავას გარდაცვალებით გამოწვეული ტკივილი, დიდი ხნის შემდეგ, დღესასწაულად იქცა. მერაბი არის საქართველოსთვის ზეარაკად შეწირული ადამიანი. 30 წლის წინ ყველაზე მძიმე და ტრაგიკული დღე ქვეყნის დამოუკიდებლობის საერთო სიმბოლოდ იქცა. დროის გასვლის შემდეგ, დარწმუნებული ვარ, ის საყოველთაო ხასიათის მიიღებს. არ არის ადვილი, მერაბ კოსტავა ყოფილიყავი! მნიშვნელოვანია, რომ დღეს ქვეყანაში და ზოგადად, მსოფლიოში ეროვნულ დამოუკიდებლობას, თავისუფლებას, იმ ღირებულებებს, რომელსაც მერაბ კოსტავა ემსახურებოდა, ბევრი მხარდამჭერი და მიმდევარი ჰყავს. ამასთან,



ან, იმ ერთიანობის და ერთმანეთის სიყვარულის ნაკლებობაა, რაც ჭარბად გაანდა მერაბს და რაც ძალიან სჭირდება ქვეყანას. მას აქვს ასეთი სიტყვები: “გავუფრთხილდეთ ერთმანეთს, არ შეგვეშალოს ქართველებს, თორემ შეიძლება დადგეს ის დრო, ხელისცეცებით გაგვიხდეს ერთმანეთი საძებნი.”

ბატონმა გიგამ ჩვენთან საუბრის დროს 1988 წელს სოხუმში მერაბ კოსტავასთან პირველი შეხვედრა გაიხსენა: “მან დიდი გავლენა მოახდინა ჩემზე. აფხაზეთში ვცხოვრობდი და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პროცესშიც აქტიურად ვიყავი ჩართული. ჩვენთან ერთად იყვნენ ეთნიკური აფხაზებიც. შეგახსენებთ, რომ რეფერენდუმში აფხაზთა უდიდესმა ნაწილმა ქვეყნის დამოუკიდებლობას დაუჭირა მხარი. სამწუხაროდ, ეს არ არის ისე აქტუალურად წარმოჩენილი, როგორც უნდა იყოს. ეს არ იყო ქართველებისა და აფხაზების დაპირისპირება, ეს იყო ხელოვნურად ინსპირირებული”.

პარლამენტარი კობა ლურსმანაშვილი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ყოფილი წევრია. “მერაბ კოს-

ნდაცვისა და სოციალური სამსახურის უფროსის, ლევან ანობაძის, განმარტებით, მერაბ კოსტავას გარდაცვალების დღე გამარჯვების დღეც არის: “ამ დღეს მეორედ დაიბადა იგი. როგორც სიცოცხლეში აერთიანებდა ეროვნულ მოძრაობას, მისი გარდაცვალების შემდეგაც ასე მოხდა. მერაბს რომ ეცოცხლა, პარტიების დაპირისპირება არ მოხდებოდა. იგი შემაკავშირებელი იყო, ლიბერი იყო. ზეიადი და მერაბი როგორც ძმები ისე იყვნენ. ბევრი ლექსი აქვთ ერთმანეთისადმი მიძღვნილი. შეეცადნენ მათ დაპირისპირებას, მაგრამ ვერ მოახერხეს. საქართველოში ყოველთვის ასე იყო. შინაური მტრობა და ქმშობა, თორემ ვერ ანაარი მტერი ვერ მოახერხებდა ჩვენს დამარცხებას.”

“საქართველოს უახლეს ისტორიაში, ჩემი აზრით, ასეთი ტრაგიკული და ამასთან სიამაყით აღვსილი დღე ნაკლებად მოიხსენიება.” – გვითხრა “კონსერვატიული პარტიის” აღმასრულებელმა მდივანმა თემურ წურწუმიამ. – “ტკივილიანი იმიტომ, რომ უდიდესი ქართველი, სამშობლოსათვის ზეარაკად შეწირული კაცი გამოცალა ამ დღეს ქვეყანას. სი-



ამაყის იმიტომ, რომ თავისი ტრაგიკული სიკვდილით, როგორც სიცოცხლეში, საქართველო გააერთიანა. დღესაც ათეული წლების შემდეგაც, ძნელად მოიხსენიება ქართველი, პატივს არ მიაგებდეს მერაბს. ნათელში ამყოფოს მისი სული ღმერთმა. აქ დღეს ბევრი ახალგაზრდაა. მათ და სრულიად საქართველოს მაგალითად ექნება მერაბ კოსტავას ცხოვრება და მოღვაწეობა.”

გამაყებით “კონსერვატორებს”, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აქტიური რამდენიმე წევრი სასულიერო პირი გახდა. მათ შორისაა დეკანოზი მირიან სამხარაძე. ის ამჟამად წმინდა ტბელ აბუსერიძის სახელობის ტაძრის მოძღვარი და წმინდა მეფე თამარის სახელობის სკოლა-პანსიონის დირექტორია. მამა მირიანის მეშვეობით მოსწავლეებმა ბევრი რამ იციან მერაბ კოსტავასა და ზეიად გამსახურდიანზე, ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაზე. ისინი ყოველ წელს მონაწილეობენ ბორითში ეროვნული გმირის ხსოვნისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში.

“მერაბს რამდენჯერმე შევხვდი.” – იგონებს მამა მირიანი. – “პოლოს მამის შევხვდი, როცა ივერიის ღვთისმშობლის ხატის ასლი ჩამოაბრძანეს ათონის მთიდან. აერობორტდანი მიველი გზა ფეხით გამოვიარეთ, ვსაუბრობდით. ეს ტრაგედია რომ მოხდა, მერაბს ცოცხალი ვეღარ მოუვსწარი”.

“კონსერვატორი” გუჯა უნდილაშვილი ამბობს, რომ მერაბ კოსტავას პირადად არ იცნობდა, მაგრამ, მისი აზრით, “თუ ქართველი ხარ, მასთან ურთიერთობის უხილავე ძაფები არ შეიძლება არ გქონდეს. ის რომ ცოცხალი ყოფილიყო, ჩვენ სულ სხვა საქართველო გვექნებოდა. ბევრი უბედურებას ავირდიდდით. მერაბი ბუმბერაზი პიროვნება იყო. ბევრი რამ სხვანაირად განვითარდებოდა, უკეთესობისკენ წავიდოდა.”

26 მაისი მერაბ კოსტავას დაბადების დღეა, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეც. სიმბოლურია... და, იქნებ, მეტიც!

ტავამ, ალბათ, ერთ-ერთმა მოახერხა, ტყვეობაშიც ყოფილიყო თავისუფალი. მეორე ვერ მოძებნეს მისი პიროვნული დატყვევების. ახალგაზრდებისთვის მაგალითი იყო, გვერდობა ქვეყნისათვის, მეტ სტიმულს და ენერჯის გვაძლევდა. ეს არ იყო ის წლები, რომ ხელშეუხებლობის გარანტიები ჰქონოდათ. ამ მოძრაობაში მყოფი ადამიანი იყო სამიზნე და თავისუფლად შეიძლება, ფიზიკურად გაენადგურებინათ. სწორედ ამ წლებს გაუძღეს ეროვნული მოძრაობის ღირებულება, სწორი გზით იარეს და მოიტანეს ის შედეგი, რასაც საქართველოს დამოუკიდებლობა და თავისუფლება ჰქვია.”

სამტრედიის მუნიციპალიტეტის გავლენისა და სამხედრო აღრიცხვის სამსახურის უფროს ზაზა კაკაბიძისთვის მისაბაძი იყო მერაბ კოსტავას ქართველობა. მასთან შეხვედრაც გაიხსენა: “იქ, სადაც ახლა საკათედრო ტაძარია, ძალიან დიდი მიტინგი მოეწყო. მერაბ კოსტავა და ზეიად გამსახურდიანი ჩამოვიდნენ სამტრედიამი. პირველად იქ შევხვდი ბატონ მერაბს. დიდებული ადამიანი იყო. თავისი ქვეყნისთვის დამაშვრალი.”

სამტრედიის მუნიციპალიტეტის ჯა-

სოსელიძე ჩამოვიტანე მსოფლიო სანთიგელა, ფორმა და სული

ნათია ნაცვლიძე

რობერტის "ეროვნული მოძრაობის ისტორია სამტრედიამდე" ნიუკრი გეგეშიძე სტუმრობს, ბატონი ნიუკრი წლებია, დედაქალაქში ცხოვრობს, საფარველ სამტრედიამდე შევბრუნდებით ჩამოსული ინტერვიუზე ძნელად დავითანხმეთ. განვლილი წლების განხილვა ემძიმება, მიიხრევა, რომ საქართველომ დამოუკიდებლობა კი მოიპოვა, მაგრამ ჩვენ ვერ მივიღეთ ის საქართველო, რისთვისაც ქვეყნისთვის გულანთებულმა, თავდადებულმა მამულიშვილებმა დასთხიეს სისხლი...

ნიუკრი გეგეშიძე რეინიგზის ენერგომომარაგებაში მუშაობს მონიტორინგის სპეციალისტად. ბოლო წლებია, აღდგომას და შევბრუნებას საფარველ სამტრედიამდე ატარებს, ცდილობს, 26 მაისიც მისი იდეური თანამებრძოლების გარემოცვაში აღნიშნოს.

– ეროვნული მოძრაობა როგორ შემოვიდა თქვენს შეგნებაში?

– დავამთავრე საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი 1983 წელს და იქვე გამანაწილეს ელექტროაპარატში, აქვე წამოსვლა ძალიან მინდოდა, მაგრამ, ჩემი დიდი მცდელობის მიუხედავად, ეს არ გამოვიდა. ვისაც მაღალი აკადემიური მოსწრება ჰქონდა, დედაქალაქში ტოვებდნენ, ასე დავრჩი საკმაოდ დიდხანს. 1986 წელს კვლავ საფარველ ქალაქს დავებრუნდი და მუშაობა ლუდისა და ხილულის წყლების ქარხანაში დავიწყე. ელექტროაპარატში ჩემი მუშაობის პერიოდში ქარხანაში მოდიოდნენ ახალგაზრდები და სააგენტო მუშაობას ეწეოდნენ, უფრო შინაურ წრეებში მიმდინარეობდა ეს საუბრები, სპექტაკლებიდან დაწყებული და ახალი წიგნის გაოსვლით დამთავრებული, ყველაფერზე ვსჯელობდით, ყველა ნაშრომს ვიხილავდით, იქნებოდა ეს ზვიად გამსახურდიას თუ აკაკი ბაქრაძის წიგნები.

– აქ დაბრუნებულს რა ეტაპზე დაგვხვდათ ეროვნული მოძრაობა?

– ჯერ არ იყო გაქტიურებული, მაშინ იყრებდა ძალებს ეროვნული თვითგამორკვევის პროცესი, მთელი დატვირთვით ვმუშაობდი, თუმცა, ერთი დღითაც არ მომიდუნებია ვერა-დღეობა და ჩემს მეგობრებთან ერთად აქტიურად ვიყავი ჩართული ეროვნულ მოძრაობაში. ვიყავი სტურუსა და რადი შენგელისთან, განსვენებულ როლენთან ერთად ბავშვობიდან მოვიდოდი და ეროვნული მოძრაობის ავანგარდში ერთად აღმოვჩნდი. მერე გადავედი ილორის მეფრინველეობის მეურნეობაში მთავარ ინჟინრად და ძალიან დატვირთული გრაფიკი მქონდა. პარტიას კაცი ვერ მიხსენებდა, უპარტიო ვიყავი, თუმცა, საკრებულოს არჩევნებზე მრგვალი მაგიდის სიით ჩემი კანდიდატურაც დაასახელეს, სამწუხაროდ, დავმარცხდი.

ეროვნული მოძრაობის შტაბში მივდიოდი ყოველ დღეს სამსახურის შემდეგ და ვბჭობდით ქვეყნის ბედზე, იმართებოდა მიტინგები. რეინიგ-

ზის გადაკეტვის აქციაში ვერ მივიღე მონაწილეობა, ყველა სხვა აქციის აქტიური მონაწილე ვარ.

– სამაჩაბლოს ქართულ სოფლებში პატრულირების მიზნით სხვა სამტრედიელებთან ერთად იმყოფებოდით?

– რომ უნდა წავსულიყავით სამაჩაბლოს ქართულ სოფლებში, ვიყავი სტურუსი და ბიუჯან დარსაველიძემ მომატყუეს, ზვად დილით მივდივართო, თურმე იმ საღამოსვე წასულან, იმიტომ არ წამიყვანეს (როგორც შემდეგ მიხვრეს), აქაც ვჭირდებოდი, ქათმის კვერცხით უნდა ყოფილიყო მომარაგებული სრულად ჩვენი რაიონი, ზვიად ძიძიგურს აქცენტი ჩვენს რაიონზე ჰქონდა. მივედი სახლში და ტელევიზიით აჩვენეს სამაჩაბლოზე სიუჟეტი, გული მომიკვდა...

– მერე დაიწყო კანონიერი პრეზიდენტის წინააღმდეგ გამოსვლები, თბილისში სამოქალაქო ომი, სიტუაცია დაიძაბა. ამ პროცესებს როგორ იხსენებთ?

– სამტრედიამდე "კონსერვატიული პარტია" ზვიად ძიძიგურთან ერთად იატაკქვეშეთში დავაარსეთ, სამტრედიის "მრგვალი მაგიდის" ბაზაზე. თბილისში სამოქალაქო ომი რომ მიმდინარეობდა, სხვა სამტრედიელ მებრძოლებთან ერთად ვიცავდი კანონიერ მთავრობას, კონკრეტულად, გვარდიის სამმართველოს. იქ რომ ჩავედით 1991 წლის დეკემბერში, გვარდიის სამმართველოში ახალწვეულები იდგნენ, რომლებსაც მხოლოდ სამხედრო ფორმა ემოსათ, არავითარი იარაღი არ გააჩნდათ, ჩვენ კი გვექონდა სამტრედიის საშუალო სკოლებიდან გამოტანილი და ჩვენივე ხელით გადაკეთებული კალაშნიკოვის სისტემის ავტომატები. არც ერთი არ ვარგოდა. ეს პარტიოტი ბიჭები, ვინც დაგვხვდნენ, ფაქტობრივად, შიმშილით იყავით დასუსტებული. ჩვენი გამოჩენით იმედი ჩავუსახეთ, იმით რა იცოდნენ, ეს რა სამხედრო აღჭურვილობა იყო. ამ სამხედრო ტექნიკის გამართვასა და გადაკეთებაში ლომის წილი მიუძღვის ოთარ თევზაძეს, ჩვენ ასევე გადავკეთეთ არამართავი საარტილერიო დანადგარები, ე.წ. ნურსი, რომელიც თვითმფრინავების სასროლ აპარატებზე გამოიყენება, ჩვენ კი ისე მოვაწყვეთ, თითო ლულას თავისი საყრდენი გავეკეთეთ, ამაში დაგვეხმარა აწ განსვენებული მიხეილ ლეჟავა, ყოფილი ჩაი-მექანიკური ქარხნის მომსახურე პერსონალთან ერთად. ამ იარაღის ხელში ვასროლა შეიძლებოდა, მანამდე იგი სამაჩაბლოში "კამაზზე" ჰქონდათ დამონტაჟებული, ორად ორჯერ გაისროლეს და მაშინვე ატყდა რუსების ისტერია, მასხოვს, რუსებმა ტელევიზიით აჩვენეს ის გასროლილი პილზი, ნახეთ, ქართველებმა რეაქტიული ჭურვი გამოიყენეს! ის ტანკებიც კოპიტანის აეროპორტში დატოვებული ძველი ტექნიკა იყო, მეგობრებმა ერთად გაემართეთ. ჩამიქანებურ ქარხანაში ვაგამზადეთ ორი ერთეული საბრძოლო ტექნიკა, რაც რეინიგზით გადავიყვანეთ თბილისში. შსს-ს (მინისტრი დილარ ხაბულიანი) შენობასთან უნდა დაეხვედრებინათ მილიციელებს ტანკის ჭურვები, სამწუხაროდ, ორის მეტი არ დავგახვედრეს და ისიც ტაოტანნი იყო, უნდა ყოფილიყო გაქმნილი, ყუმბარის პილზი გაიჭვავა, ერთის მეტი ვერ გაისროლა. ე.წ. ბატში (დამნა-

ღმავი ჯავშანტრანსპორტიორი) იხსენებ ჩვენი ბიჭები ბუჯან დარსაველიძე, ლევან ახობაძე, კობა გრიგოლია და სხვები, სულ 8 კაცი. ზემდე-ლაძე წავიდა ტანკი, მას უკან ზურგს უმაგრებდა ე. წ. ბატი, რომელიც ძალიან მალე, პუშკინის სკვერთან ააფეთქეს, მას ვეფხია წიქაძე მართავდა, რუსმა მუხა ესროლა, ვეფხია გარდაიცვალა, ბატში მსხდომები კი დაიჭრნენ. ტანკისტმა, თამაზ აბაშივილმა რომ დანახა, ბატი უკან არ მიყვებოდა, მოტრიალდა, ქაშუეთთან რუსებმა ეს ტანკიც ააფეთქეს. თამაზს ხელები დაეწვა თუმცა შეძლეს, ამ ტანკიდან გამოღწევა. ზემოთ, კომპიუტარზე თევზორე ჯანელიძე იმყოფებოდა, ის უკვალოდ გაქრა, მემინზე ჯინჯველიძე იყო ღვთის წყალობით დღესაც ცოცხალია. ტანკში მე უნდა ჩავმჯდარიყავი, მაგრამ შიგ ვერ მოვახვედი და ამიტომაც ამოვიყვანეს. ჩვენ მოვყვებოდით ამ ტექნიკას მსუბუქი მანქანებით, გაგვანერგეს თავისუფლების მოედანთან და არ გაგვაციოდა რაჟდენ კაპანაძემ.

სამოქალაქო ომის დროს ჩემს გვერდით თბილისში იყო ჩვენი თანამებრძოლი, მერაბ ბუაძე, რომელიც ტამიშის ოპერაციის დროს უგზო-უკვლოდ დაიარაგა. იმ დროს სოხუმში, გუმიისთაზე ვიყავი, ამიტომ ავცდით ერთმანეთს, ის თავიდან ჩემს ოცეულში იყო (ლეიტენანტის ჩინით ვიყავი), მერე სხვა ოცეულში მოხვდა, მაგრამ ანაკლიაში კვლავ ჩემთან გადმოვიდა. ერთმანეთს ავცდით, თორემ ტამიშის ოპერაციაში ან ერთად გადავრჩებოდით, ან ერთად დავიღუპებოდით, ის საუკეთესო ადამიანი იყო, სულ რაღაც თვეების შემეძინილი ჰყავდა შვილი ანაკლიაში ვიმყოფებოდით და ვუბნებოდით, წაღი, ბავშვი ნახეთ-თქო, ეს ბავშვი ახლა 20-ზე მეტი წლის იქნება, მერე მერაბს ვეტერანობის წოდებას არ აძლევდნენ, არც გარდაცვალების ცნობა ჰქონდა ოჯახს, უგზო-უკვლოდ დაიარაგა. ბოლოს, როგორც იქნა, ზაზა კაჭახიძის დიდი ძალისხმევით, არცთუ დიდი ხანია, რაც ვეტერანობა მისცეს.

სწორედ ანაკლიაში გადაწყდა, გუმიისთაზე ვინ უნდა წასულიყო ჩვენი ბატალიონიდან. ოთხეული შედგა: კობა ძიძიგური, ზაზა დანელია, ბიჭვინთიძე, სოსო მსხილაძე. მეზუთე ვიყავი სტურუსა უნდა ყოფილიყო, აი მაშინ გავუხსენე, როგორ დამტოვა სამაჩაბლოში წასულელი, ამიტომ ტექნიკურად ავარიდემ ამ ამბავს ვიყავი და მის ნაცვლად მე წავიდა. ძალიან მალე ტამიშში რუსი დესანტი გადმოსხეს, ჩვენ ამ დროს გუმიისთაზე ვიყავით და ბუნებრივია, მოვეყვით ალყაში. ეს დესანტი საჩქაროდ უნდა განადგურებულიყო, რომ სოხუმს ალყა მოხსნოდა. აქ მოხდა ანაკლიაში განთავსებული ე.წ. ზვიადისტების, "მხედრიონელების" და სამთავრობო ძალების გაერთიანება. აქ ამ დესანტის განადგურების დროს დაკარგეთ საუკეთესო მეგობრები სამტრედიის ბატალიონის წევრები, კი-

რილე რევიშვილი და მერაბ ბუაძე. ბევრი ღონისძიება გატარდა მერაბის კვალის საძიებლად, ზვიად ძიძიგური აფხაზებს და ცისფერჩაფხუტ-იანებსაც შეხვდა, მაგრამ ვერანაირად ვერ მიაგნეს.

– თქვენ უშუალოდაც გინახავთ ზვიად გამსახურდია, გაიხსენეთ ეს შეხვედრები...

– სამტრედიამდე რომ შემოვიდით, რამდენიმე დღით რომ აღვადგინეთ აქ ხელისუფლება, რუსული ტექნიკა აქტიურად ჩანდა. ზვიად გამსახურდიას ეს ამბავი ბუნებრივია, უთხრეს. ბატონი ზვიადის მიერ ნათქვამი სიტყვები არ მახსოვს, ოთახიდან ვინ გამოიტანა, "აქედან მე არ წავალ, თუ არ გამოიტანენო."

ასევე, ზვიად გამსახურდიას სიტყვები მინდა გავიხსენო, რომელიც



ნი იყო და პიეტი ჰქონდათ მილიცია და თითო-ორ-ოლა "მხედრიონელი" იყო, ერთმა "გაიშინება" მიცნო აშკარად და არ გამოვიდა. ასე გავერიდეთ სამტრედიას. მერე წავიდა თბილისში, ექვსი თვე გარეთ არ გამოვსულვარ, ერთხელ გამოვიდა გარეთ და იმ სამხედრო გადაწყვეტაზე, რომელიც სამტრედიის პოსტზე ავიყვანეთ, სადაც იყვნენ დაბანაკებული. ბეტერიდან ამოვიყვანეთ და მერე გავუშვი. გავიდა დრო და სამსახური დავიწყე, წლებია, დედაქალაქში დავმკვიდრდი.

– ტრივიალურ შეკითხვას დაგისვამთ, ამ განსახედვით როგორ აფასებთ განვლილ გზას?

– ყველაზე მთავარი, რაც მანალებს ის არის, რომ ჩვენმა თავგანწირვამ და ძალისხმევამ ის შედეგი არ მოიტანა, რასაც ველოდით, დავკარგეთ ბევრი

მან მებრძოლებს სენაკში გვითხრა: "ამ ომის დაწყება არ შეიძლებოდა, მაგრამ უკვე წაგება არ შეიძლებოდა." აფხაზეთის ომის პეროდში სენაკში ჩამოვიდა გამსახურდია.

– "მხედრიონის" მზრიდან დევნას ადვილად გადაურჩით?

– "მხედრიონელებმა", საბედნიეროდ, ვერ მომაგნეს. ვიყავი დიდხანს აწვალეს, ეკითხებოდნენ, ვინ არის ეს კაცი შენთან ერთად ამ სურათში, ვიღაც წვერებიანიაო. ჩემი ოფიციალური სახელი ამირანია, მაგრამ ყველგან ნიუკრით მიცნობენ, საცხოვრებელი ადგილი თბილისი იყო. სამტრედიის ბატალიონში რახან ვირიცხებოდი, დღემდე მით ვერ მომაგნეს და სურათებით ვერ მიცნეს. ვერც ერთი ჩემი მეგობარი ვერ გატყენეს და ჩემი ვინაობა ვერ ათქმევინეს. სამეგრელოდან, სენაკიდან ჩვენი ზოგიერთი თანამებრძოლი სენაკში წავიდა, ზოგი რუსეთში განერიდა, მე სამტრედიამდე დავბრუნდი, შევერიე სოხუმიდან მომავალ დევნილთა ნაკადს, რამდენიმე ნაცნობს შეხვდი, მეც და მათაც სამხედრო ფორმა გვეცვა, სენაკიდან აბაშამდე რეინიგზას გამოვყვით, ტრასაზე დავგვეწია "ბელაზი", სატვირთო მანქანა, ცხენისწყლის ხიდან "მხედრიონის" პიეტი იყო. ეს "ბელაზი" სო-

ტერიტორია. ილორში რომ ვმუშაობდი, გარკვეული პერიოდი ავტობუსით დავდიოდი, მას დაჰყვებოდა ახალგაზრდა, ფიზიკის პედაგოგი, ქაღალტონი ცირა, მასხენდებ მისი სიტყვები: ოღონდაც დამოუკიდებლობას და თავისუფლებას მივალწით და თოხსაც ხელს ჩაკვიდებო. ახალი დამთავრებული ჰქონდა ინსტიტუტი და რა დიდი ენთუზიაზმი იყო ახალგაზრდებში, შედეგი კი სხვაა, დღეს ვხედავთ მასიურ გაჭირვებას... მთავარი სიყვით, რაც გვექონდა, ისაა, რომ არ გვიბრძოლია იმისთვის, რაიმე დავგვერთებინა... ის ფაბრიკა სანამ არ დაიქცა და გაიფიდა, მანამდე იქ ვიმუშავე. ჩვენ არც ერთი არ ვიყავით გაწვრთნილი სამხედრო, ყველა ეს ადამიანი ქვეყნის სიყვარულმა და მისთვის უანგარო დახმარების სურვილმა შეგვყარა! ხშირად ვამბობ, სოხუმიდან დატვირთული ვმელონებით მოჰქონდათ ქონება, მე კი ჩამოვიტანე ბენზინზე მომუშავე სანთებელა, რომელიც იქაურ ბაზარში ვიყიდე, სამხედრო ფორმა და სული.

– შეილს ამ ამბებს რომ უყვებით, როგორ აღიქვამს?

– მისთვის ეს ამბები წარმოუდგენელია, ტრასას ჰგავს და ამიტომ მირჩევნია დავდუმდე.

წიგნი სიყვარული სიღრმისა და სიბრძნისა, რომელთა დაზოგვაზე წარმოუდგენელია

ნათია ნაცვლიძე

მარია მარჯანიშვილი რამდენიმე მიმართულებით მოღვაწეობს: არის ქუთაისის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ახალი ისტორიისა და განათლების განყოფილების მეცნიერ-თანამშრომელი. “ისტორიის არდავიწყება თაობის ვალია, დღეს, როცა ღირებულებათა გადაფასების საუკუნეა, ვალდებულნი ვართ, ყოველგვარი იზმებისაგან თავისუფალი და სამართლებრივი ისტორია დავწეროთ.” – ამბობს ქალბატონი მარია. ის ასევე, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ ვახტანგ ამბროსიძის სახელობის ამერიკისმცოდნეობის ცენტრში კითხულობს ლექციების კურსს “ქალთა უფლებები” და “ქართული ემიგრაცია აშშ-ში”.



ამასთან, აქტიურად არის ჩართული ფართო საზოგადოებრივ მოღვაწეობაში: არის “სამუზეუმო გაერთიანების” სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, მუზეუმებისა და მუზეუმების პროფესიონალების საერთაშორისო ორგანიზაციის “ICOM”-ის წევრი, საქართველოს მწერალთა, ხელოვანთა და მეცნიერთა ეროვნული აკადემიის წევრი და ამავე აკადემიის გაზეთ “უქიმერიონის” რედაქციის წევრი, საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრი.

ჩვენი რესპონდენტი სიამოვნებით დაგვთანხმდა, წიგნებზე ესაუბრა, ინტერვიუში შესანიშნავი ქალბატონი საქართველოს ისტორიის ძალზე საინტერესო და ემოციურ ეპიზოდსაც იხსენებს...

– თქვენ სტუდენტობის ვოკალდლიური შეხება გაქვთ, როგორ ანალიზს გააკეთებდით, დღევანდელ თაობას რა დააკლო წიგნთან დაშორებამ და რა შექმნა კომპიუტერთან სახლოვებამ?

– დღევანდელი ახალგაზრდობა გამორჩეული თაობაა, რადგან ჩვენსავით ტყუილის ქვეყანაში არ სურთ ცხოვრება, ამაში დიდი როლი ახლმა ტექნოლოგიებმაც ითამაშა. მოგესხენებათ, მედელს ორი მხარე აქვს: თუ ახლმა ტექნოლოგიებმა “სიშორით სახლოვე” გამოიწვია და მან მსოფლიოსთან დაგვაახლოვა, სამაგიეროდ, წიგნთან დაგვაშორა. თუმცა, წიგნი სიტყვიერი ხელოვნების ის ნიმუშია, რომელთანაც დაშორება მაინც წარმოუდგენელია. ჩვენ მაღალი სულიერი ღირებულების ნიმუშები გაციფრებული სახით შეგვიძლია ვხაზოთ, მაგრამ მსოფლიო მუზეუმები დღესაც აუარებელი დამთავლიერებლობითაა საუბრე, რადგან ხელოვნების ნიმუშა და მის გარშემო რაღაც იდუმალი, ღრმა სამყარო სუფევს.

– თქვენ, როგორც წიგნის დიდი თავგანისმცემელი, როგორ იცავთ ოქროს შუალედს – სად მე-

ტს კითხულობთ, პლანეტში თუ წიგნში?

– გამოყენების თვალსაზრისით, უცხოენოვანი მასალის გასაცნობად პლანეტა უფრო კომფორტულია, მაგრამ მხატვრული ლიტერატურის გასაცნობად წიგნი მირჩევნია, რადგან წიგნი იგივე მანქანის ბორბალია, ეს ბორბლები ქმნიან კომბინაციებს, ერთმანეთში შედიან, ერთიმეორეში ბრუნავენ, იძლევიან, უკავშირდებიან და ეხამებიან ერთმანეთს...

თეთრ ქაღალდზე დაწერილი შავი სტრიქონები მხოლოდ მაშინ გვათავისუფლებენ, როდესაც ჩვენს გონებას ახალ სახეს მისცემენ.

– თქვენ გიწევთ ძველ არქივებში დაცულ უნიკალურ დოკუმენტებთან მუშაობა საქართველოს ფარგლებს გარეთ, რა შეგრძნებთ, ისტორიულ ფოლიანტებს პირველად მიეახლო და შემდეგ ქვეყანას ამცნო შენი ისტორიული წარსულის სიდიადე თუ სივარდსა?

– ჩემი კვლევის საგანი ფართო არეალს მოიცავს: როგორცაა XIX-XX სს. ქართული ინტელიგენციის კულტურული იერ-სახე, პირველი ტალღის ქართული ემიგრაცია ევროპასა და ამერიკაში, ფემინიზმი და გენდერი.

აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, მრავალ საარქივო დოკუმენტთან მიწევს შეხება. მიმანია, რომ უმთავრესია სამართლებრივი ისტორიის შექმნა და საბჭოური სტერეოტიპების დამსხვრევა. იმის ჩვენება, რომ 1921 წელს პოლიტიკური ემიგრანტები სამშობლოდან იმ მიზნით გადაიხვეწნენ, რათა საერთაშორისო სამართლის გზით აღედგინათ დიდი ქართული თავისუფლება და დამოუკიდებლობა. და დღეს, მათი შემოქმედებითად სამშობლოში დაბრუნება დიდი ქართული საქმის დასტურია.

– საყვარელი წიგნი და ნაწარმოები დაგვისახელოთ, საყვარელი მწერალი ვინ არის?

– საყვარელი წიგნი სხვადასხვა ასაკში სხვადასხვაა, ამჟამად გოდერძი ჩოხელის შემოქმედებით ვარ გატაცებული და გამოვყოფდი მის რომანს “ადამიანთა სევდა”.

ასევე ოთარ ჭილაძის პროზისა

და პოეზიის სიყვარული მუდამ თან მსდევს.

– თქვენს პოეტურობას სოციალურ ქსელში თქვენს მიერ გაზიარებული ლექსებიც მოწმობს, საყვარელი ავტორების სტროფები გვითხარით...

– ჩემს სულში კლავიატურებს სონეტით კენკავს ოთარ ჭილაძის შემდეგი სტროფები: “შეო, ნურასდროს ნუ წახვალ, ჩემგან”

“შე კი დაერწმუნდი, რომ შენი ხელი ჩემს დალილ ხელზე შეცდომით იდო,

შეცდომით იდო და ნელა-ნელა თავის შეცდომას ხვდებოდა თვითონ...”

– არაერთი მწერალი, მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე მინახავს თქვენს ფოტოარქივში, მოგვიყვით რომელიმე სასიამოლო ქართველ ან უცხოელ მწერალთან შეხვედრის თუ ურთიერთობის საინტერესო ისტორია.

– მართლაც ბრძანებთ, უნიკალური ფოტოარქივი მაქვს. ამ შეჩერებული წამებიდან ერთ-ერთ ეპიზოდს გაიხსენებ: ცნობილი ემიგრანტი და საზოგადო მოღვაწე, საფრანგეთის ქართული სათვისტომოს ერთ-ერთი თავმჯდომარე, ფოლკლორულ გუნდ “მერანის” ხელმძღვანელი, პარიზის წმინდა ნინოს სახელობის ქართული ეკლესიის მაგალობელთა გუნდის ლობჯინაძე, ოთარ პატარიძე ლაივ ჩართვით საჯარო ლექციაზე მოვიწვიე. იმ დღეს იგი იუბილარი გახლდათ. სტუდენტებმა მას ქართული სამეფროვანი დროშის ფონზე მრავალკამიერით დაბადების დღე მიულოცეს. აღფრთოვანებულმა ბატონმა ოთარმა ფანდური აიღო ხელში და ასე გაერთიანდა “სამანს აქეთ” და “სამანს იქით” ქართველთა ორი თაობა.

– ვისი ხელმოწერით გაქვთ წიგნები?

– “ყველას რაიმე აქვს სახსოვარი” და ჩემი ბიბლიოთეკა სხვადასხვა სფეროს ადამიანთა ნაჩუქარი წიგნებით გამოირჩევა, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. თუმცა, ერთ ისტორიას გავიხსენებ: 1995 წლის 16 ივლისს, “დრო იყო შეუსაბამო, გარემოება ვერაგი”, ქალაქ-

ის თეატრში, ორად გახლეჩილი საქართველოს შვილების წინაშე მუხრან მაჭავარიანი გამოდიოდა. პოეტს დაპირისპირებულია მხრიდან პოლემიკა გაუმაძრეთს.

... საქართველოს ბედ-იღბალი კვლავ ქანაობდა რაღაც უცნაურ საბედისწერო “საქანელაზე”, მუხრან მაჭავარიანი კარგად ხედავდა, რომ საქართველოში 90-იანი წლების დრამატული სპექტაკლები საბედისწეროდ იყო გათამაშებული და არ სურდა, მისი ქვეყანა კვლავაც დიდ თეატრად დარჩენილიყო.

“არარაისგან არარაი წარმოიქმნების, არარაისგან არც სამყარო წარმოიქმნაო”, – ბიბლიის ეს სიტყვები შეახსენა აუდიტორიას პოეტმა, რათა კიდევ ერთხელ გამოეკვეთა 90-იანი წლების ციებ-ცხელების ხანა, ქართული პოლიტიკის სულემსუთველი ატმოსფერო, თითქმის უფსრულის პირას ჩამოვიდებული ერის, მძათაგვლელ ომისა და მექრთამეობაში ჩაძირული ქვეყნის მდგომარეობა, სადაც ქვეყნის აღმშენებლისა და დიდი პოლიტიკოსის იმიჯი ფარსის სახით “თამაშდებოდა”.

შეხვედრას სკოლის მოსწავლეთა ერთი ჯგუფიც ვესწრებოდათ, რომელთაც წამოღებული გვქონდა ავტოგრაფებისათვის მუხრან მაჭავარიანის ლექსთა კრებულები. საღამოზე აკადემიის ვახტანგ ბოჭორიშვილის მიერ გახმოვანებულმა მელონის ლექსებმა დიდი ეროვნული მუხტი გააღვიძა და იმპულსი მოგვცა იმისა, რომ პოეტის ნიჭის თავგანისმცემლები სცენაზე ავსულიყავით.

მუხრან მაჭავარიანმა ახალგაზრდებს მოგვმართა: – “დაიხსოვით ეს დღე, 1995 წლის 16 ივლისი, დღის 4 საათი, მჯერა, თქვენი თაობა, რწმენით, იმედით ქვეყანას მაინც გადაარჩენს... ეს დაუვიწყარი დღე და პოეტის სხივამდგარი თვალები მუდამ შემახსოვრება. მისი ავტოგრაფი კი, პირადად ჩემთვის მამად სახსოვარი და გამოჩენილია იმ თვალსაჩინო მოღვაწეთა მიერ მოძღვნილ წიგნთა შორის, რომლებიც ასე უხვად მოიპოვება ჩემს ბიბლიოთეკაში.

ამ გადასახედიდან, როცა ამ ეპიზოდს ვიხსენებ, კიდევ ერთხელ ვრწმუნდები იმაში, რომ შემოქმედის მასალას უპირველესად ცხოვრება შეადგენს, რომ მწერალმა ცხოვრების გაუმჯობესებისათვის უნდა იზრუნოს, რათა ხალხის ოცნება და მისწრაფება მუხრან მაჭავარიანივით შემართულმა განახორციელოს, ხოლო დანარჩენს, თავისთავად, მწერლის შემოქმედება იტყვის.

– გაქვთ სამაგიდო წიგნი?

– სამაგიდო წიგნი ბიბლიაა, რადგან დედამიწა დღემდე მის გარშემო ტრიალებს ქართველებისათვის, როგორც უნგრელი მხატვარი და “ვეფხისტყაოსნის” დამსურათებელი, მიხაი ზიჩი ამბობდა: “ქართველები სოფლის “ვეფხისტყაოსანი” იგივე ბიბლიაა. “ ჩვენ მის სიბრძნეს ვერსად გავქეცევით, რადგან მას რამდენადც ბევრს იკვლევინ, მით უფრო დიდი სიბრძნე რჩება დაფარული.

ალბათ, ამიტომაც იყო, რომ ქართველ ქალს მზიოვებში “ვეფხისტყაოსანს” ატანდნენ, რამეთუ მის სიბრძნეზე აღზრდილი ქართველები სამაგიდო მამულიშვილები ყოფ-

ილიყვნენ.

– ხომ არ უძღვინია რომელიმე პოეტს ლექსი თქვენთვის?

– არაერთხელ აღმოვჩენილვარ პოეტური რითმების ზონაში, მაგრამ გამოვარჩევი პოეტ ეთერ ჯიშკარიანის ლექსის აკროსტიხით ექსპრომტად:

“შე და ბებო, ბაბუ, ალეკო და დედა, როდესაც ვართ ერთად ისმის სუნთქვაზე ხეთა; კეთილ სურვილებით ახალ წინსვლას ვხედავთ. მიყვარს საქართველო, არ ნახული მხარე, რუ და ჩანჩქერებში ჯიხვი მომთაბარე. ასფურცელა ვარდი, ნაძვი მწვანე თმებით, იმ თბილ მზის დიმილში შრომანივით ვთბები. ვის უნახავს ქვეყნად იქით-აქით მთები, ლურჯად მოვრთავ მამულს, იად გაეზრდები.”

– რომელ ლიტერატურულ პერიონთან იმეგობრდებით?

– მახვილგონიერ იდავლო დონ კიხოტ ლამანჩელთან ვიმეგობრებდი, რომელმაც მისი ავტორი სერვანტესი მსოფლიოს კლასიკოს მწერალთა რიგში დააყენა.

– ფრანზა, რომელიც ცხოვრებისეული პრობლემების დაძლევაში დაგხმარებია...

– ადამიანებისთვის ცხოვრებისეული გამოწვევები გარდაუვალია, ამ დროს დიდ რწმენას მაძლევს ფრანზა: “ესეც გაივლის”!

მოგესხენებათ, რომ მეფე სოლომონს საყვარელი ბეჭედი ჰქონდა, ბეჭდის შიგა მხარეზე ეწერა: “ყველაფერი გაივლის”! როცა მეფე თავს ცუდად გრძობდა, იხსნიდა თითიდან ბეჭედს, აკვირდებოდა წარწერას და მშვიდდებოდა. ერთხელ მეფე სოლომონს დიდი უბედურება შემთხვა, მოიხსნა თითიდან ბეჭედი, მაგრამ წარწერამ კი არ დაამშვიდა, პირიქით, უფრო მეტად გააბრაზა. განრისხებულმა ბეჭედი იატაკზე დაახეთქა, მაშინ ბეჭედს თვალი ამოუვარდა. სოლომონმა იმანა საყვარელი ბეჭედი რომ გატეხა, აიღო იგი და მეორე წარწერა აღმოაჩინა, რომელიც თვალის ქვეშ იმალებოდა, იქ ეწერა: “და ესეც გაივლის”.

– წიგნი, რომლის სიუჟეტზეც დიდხანს გიფიქრიათ...

– ეს “მარჯანიშვილთა და მესხთა ხომლი” გახლავთ. ამ ორ გვარს ერთმანეთთან მარტო სისხლის ნათესაობა როდი აკავშირებდა, მათ მხოლოდ ხელოვნების “დემონი” აერთიანებდა, რომლის ძალითაც შექმნეს ერთხელ და სამუდამოდ დიდი თეატრალური ხელოვნება.

– თანამედროვე ქართველ მწერალთაგან ვინმეს გამოარჩევთ?

– მათგან თავისი ახალგაზრდული შემართებით გამოვარჩევ დათო ტურაშვილს “ჯინსების თაობით” და სპექტაკლის დამდგმელ რეჟისორს დათო დოიაშვილს, მათ დაამსხვრინეს სტერეოტიპი და გაარღვიეს ცეკას “უზენაესობის” სინდრომი. და დღეს, თვითმფრინავების ბიჭების ერთ-ერთი მონაწილის მამა-შვილ წერეთლების სახლ-მუზეუმის დაარსება მონურ მორჩილებზე გამარჯვებაა.

“მინდა, ჩემი უამრავლობით უკეთესი გავხადო სამყარო”

ქეთევან ჭელიძე

ხშირად ის, რაც სხვისთვის უმნიშვნელოა, ნინო ახობაძისთვის შემოქმედებითი ინსპირაციაა. ყველას და ყველაფერს აკვირდება, მერე ტილოზე გადააქვს და სათქმელს ფერებით გამოხატავს. ნინო ჯერ მხოლოდ 22 წლისაა, თუმცა, კერძო კოლექციონერებმა უკვე შეიძინეს მისი ნახატები. გულწრფელობა, ინდივიდუალობა, თავისუფლება, შესრულების მაღალი ტექნიკა ახალგაზრდა მხატვრის უპირატესობაა. ასაკით ასეთი პატარა მხატვარი, აღმოჩენა იყო იმ მნიშვნელოვანი გამოფენის, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ ქართული სახვითი ხელოვნების მუზეუმის საიუბილეოდ მოეწყო.

ნინო ახობაძე სამტრედიელია, მიწაბოგირიდან. ჯერ მელაურის, შემდეგ კი ქალაქის მესამე საჯარო სკოლაში სწავლობდა. წარმატებულ მოსწავლეს განსაკუთრებით მშობლიური ენა და ისტორია უყვარდა. ასევე, გერმანული ენა, რომელსაც პედაგოგ მამაკაცი ვაშაქიძის მეშვეობით კარგად დაეუფლა. სასწავლო ოლიმპიადებშიც მონაწილეობდა და შედეგსაც აღწევდა. ამბობს, რომ მელაურის საჯარო სკოლაში, სადაც 9 წელი ისწავლა, ბევრი რამ შესძინა მას. პარალელურად სამტრედიის სამხატვრო სკოლაში ეუფლებოდა ხატვის ხელოვნებას. არჩევანი გააკეთა და სკოლის დამთავრების შემდეგ მონაწილეობდა ქართული სახვითი ხელოვნების მუზეუმის დარბაზის ერთი წლისაღმდეგ მიმდინარე გამოფენაში. მუზეუმში, სადაც უამრავი, სხვადასხვა პერიოდის ქართველი მხატვრების დღემდე უცნობი ნამუშევრებიც იფინება, ახალგაზრდა მხატვრებიც მივიწყდნენ. რამ განაპირობა თქვენზე არჩევანი გაკეთებინათ და რამდენი ნახატი წარადგინეთ?

– ნინო, თქვენ მონაწილეობდით ქართული სახვითი ხელოვნების მუზეუმის დარბაზის ერთი წლისაღმდეგ მიმდინარე გამოფენაში. მუზეუმში, სადაც უამრავი, სხვადასხვა პერიოდის ქართველი მხატვრების დღემდე უცნობი ნამუშევრებიც იფინება, ახალგაზრდა მხატვრებიც მივიწყდნენ. რამ განაპირობა თქვენზე არჩევანი გაკეთებინათ და რამდენი ნახატი წარადგინეთ?

– ვერ გეტყვით, როგორ შემარჩიეს. უბრალოდ, მოწვევა მივიღე. თანამედროვე არტისტების ჯგუფური ექსპოზიციის ფორმატში. მით უფრო, ის დღე განსაკუთრებით წარმომადგენლობითი იყო. ვიცი, რომ კარგი შეფასება დაიმსახურეთ.

– თაქვითავე ძალიან სასიამოვნოა ასეთ პრესტიჟულ გამოფენაში მონაწილეობა. მით უფრო, ის დღე განსაკუთრებით წარმომადგენლობითი იყო. ვიცი, რომ კარგი შეფასება დაიმსახურეთ.

ავრების შემდეგ გამოცდები თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში ჩააბარა. ასპროცენტრის დაფინანსება მოიპოვა და სასწავლებელიც წითელ დიპლომზე დაამთავრა. შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდა ინტელექტუალური ოჯახში აღიზარდა. დედა, მადონა ოდილაევი სამტრედიის საკმაოდ ცნობილი ფიზიოთერაპევტია. მამა, ვარლამ ახობაძე ეკონომისტი და რმისა და ხორცის ტექნოლოგი. ნინოს ერთადერთი ძმა, ზურაბი კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის წარჩინებული სტუდენტია, მომავალი დიპლომატი, ბევრი წარმატებული პროექტის ავტორი. მშობლები ძალებს არ იშურებენ, შვილებმა თავიანთი შესაძლებლობები გამოავლინონ და სათანადო ცოდნას დაეუფლონ.

ნინო თანამედროვე მხატვრობითაა გატაცებული. ცდილობს, თავისი განსაკუთრებული სიტყვა თქვას ამ მიმართულებით. იგი პედაგოგიურ საქმიანობასაც ეწევა კერძო სკოლა “ლოგოსში”, სადაც პატარებს ხელოვნებას ასწავლის. გატაცებულია ფოტოგრაფიით, უყვარს მუსიკა, რომელიც, მისი აზრით, მხატვრობაზე მაღლა დგას, ხოლო მუსიკოსები ჯადოქრები არიან. ნინო ფლობს გერმანულ და ინგლისურ ენებს, უყვარს სამტრედია და ბებიას სახლი, რომელიც უამრავ კარგ მოგონებას უკავშირდება.

წილობა. მით უფრო, ის დღე განსაკუთრებით წარმომადგენლობითი იყო. ვიცი, რომ კარგი შეფასება დაიმსახურეთ.

– თაქვითავე ძალიან სასიამოვნოა ასეთ პრესტიჟულ გამოფენაში მონაწილეობა. მით უფრო, ის დღე განსაკუთრებით წარმომადგენლობითი იყო. ვიცი, რომ კარგი შეფასება დაიმსახურეთ.

– თაქვითავე ძალიან სასიამოვნოა ასეთ პრესტიჟულ გამოფენაში მონაწილეობა. მით უფრო, ის დღე განსაკუთრებით წარმომადგენლობითი იყო. ვიცი, რომ კარგი შეფასება დაიმსახურეთ.



ლი იყო. რაც შეეხება შეფასებას, ზოგადად, დიდი ინტერესი გამოიწვია ჩემი, როგორც ასეთი პატარა ასაკის მხატვრის გამოჩენამ. მივიღე შემოთავაზებები, ვგულისხმობ შემდგომისთვის დაგეგმილ გამოფენებს. არის აგრეთვე, სამი კოლექციონერი, რომლებიც პერიოდულად შეიძენენ ჩემს ნახატებს.

– ეს თქვენი პირველი გამოფენა იყო, თუ აკადემიაში სწავლის დროსაც მონაწილეობდით გამოფენებში?

– სხვათა შორის, უარს ვამბობდი აკადემიის გამოფენებში მონაწილეობაზე, რადგან ძალიან ვეწინააღმდეგები იქ არსებულ სწავლების მოძველებულ სისტემას. მუზეუმებსა და ცალკე ჯგუფურ გამოფენებში კი ვმონაწილეობ. ასევე, ვთანამშრომლობ სამხატვრო რეზიდენციასთან “გარიფლასთან”, რომლის ხელმძღვანელი ვარაზან ქუთათელაძეა. ჩემი პირველი გამოფენა 2017 წელს სწორედ მანდ მოეწყო. წლებულს, მასში “ექსპო ჯორჯიაში” გამოვიფინე.

– ბანალური კითხვა უნდა დაგისვამთ: ხატვა რა ასაკში დაიწყოთ და რა დახატეთ პირველად?

– არ მახსოვს, რა დახატე. მაგრამ ახლა ჩემს ბავშვურ ჩანახატებს რომ ვათვალიერებ, არის დედაჩემი, მამაჩემი, სახლი, მისი ინტერიერი. სულ ვხატავდი. გამიძარცვია, რადგან მელაურის საჯარო სკოლაში მე მყავდა მასწავლებელი სოფიკო ფრანგიშვილი. ძალიან საინტერესო და შემოქმედებით გაკეთილებს გვიტარებდა. მან დიდი როლი ითამაშა, ხელოვანი გაემხდარიყავი. როცა ეს სერიოზულად გადაწყვიტე და აკადემიისთვის მზადებას შევუდევე, ხელოვნების, მისი ისტორიის შესახებ ბევრ წიგნს ვკითხულობდი, მხატვრებს ვეცნობოდი. სოფიკო მასწავლებელიც ბევრ ინფორმაციას მასწავლიდა და მეხმარებოდა.

სამტრედიის სამხატვრო სკოლაში ფერწერას გვიწავრავა მასწავლიდა. აკადემიაშიც კლასიკური ფერწერის განხრით ჩავაბარე. ამჯერად ვმუშაობ თანამედროვე ხელოვნების მიმართულებით, რაც, მინდა გითხრათ, ძირითადად, ბავშვების გულწრფელი ემოციებით არის იმპირებული. იცით, რომ მე სკოლაშიც ვმუშაობ. ბავშვები ბევრ ინფორმაციას მასწავლიან. მათი აზროვნება საზოგადოებაში არსებული შეხედულებებისგან განსხვავებული და თავისუფალია. უცდილობ, მეც გულწრფელი ვიყო და ეს ყველაფერი ტილოზე გადავიტანო. რამდენად გამომდის, არ ვიცი. შედეგით კმაყოფილი არასდროს ვარ, მაგრამ თვითონ ხატვის პროცესი მიყვარს, დაკვირვება, რაღაცეების აღმოჩენა. ეს ძალიან საინტერესოა.

– უმეტესად რა მასალით მუშაობთ?

– სხვადასხვა მასალით. მიუხედავად იმისა, ფერწერა დავამთავრე, დიპლომი თაბაშირის ფიგურებით დავიცავი.

ფერწერაც იყო. იქ ბევრი ტექნიკაა შერეული. ბავშვობის შთაბრძნებით ფლომასტერებს, პასტელს იყენებენ. მეც ძალიან მიყვარს მათი გამოყენება, ემოციურად დიდ სიამოვნებას მანიჭებს. უკვე აღნიშნე, ჩემი უარყოფითი დამოკიდებულების შესახებ აკადემიაში სწავლების მიმართ, თუმცა, ძალიან კმაყოფილი ვარ ჩემი ლექტორის, ოლეგ ტიმჩენოსი, ძალიან კარგი მხატვარია. შემოქმედებით თავისუფლებას მაძლედა და კარგ შედეგებსაც მივაღწიე.

– შეგიძლიათ, თქვენთვის სა-



ყვარელი მხატვარი დაგვისახელით?

– კონკრეტულად საყვარელი მხატვარი არ მყავს. მე თანამედროვე მხატვრობით ვარ დაინტერესებული და მომწონს თანამედროვე ბრიტანული ხელოვნება. მისი ერთ-ერთი გამორჩეული წარმომადგენელია ტრეისი ემინი. ძალიან ქალური ნამუშევრები აქვს. ვფიქრობ, რომ თანამედროვე ხელოვნებაში ქალები უფრო ძლიერები არიან, ვიდრე მამაკაცები. საქართველოში ვინც არის თანამედროვე მხატვარი, ყველა კარგია, მათ შორის ახალგაზრდა ცოლ-ქმარი, ანდრია დოლიძე და ქეთა გავაშელი, ძალიან მომწონს თამარ ნადირაძე. არაჩვეულებრივ ნამუშევრებს ქმნის თუა გვეტაძე. უფროსი თაობის მხატვრებიდან დავასა-

ხელებ კარლო კაჭარავას. ძალიან მიყვარს და ასე მგონია, მისი მუხა ვეჭებოდი, აუცილებლად დახატავდა!

– ე. ი. ამბიციურიც ხართ?

– ვალბურთ, ამბიციური ვარ, მაგრამ არა ისეთი, სხვა დავაზიანო! მჯერა, შემიძლია, სამყარო უკეთესი გავხადო ჩემი შემოქმედებით, ან უბრალოდ, ჩემი არსებობით!

– როგორია ახალგაზრდა მხატვრის გეგმები?

– მინდა, მომავალ წელს დიუსელდორფის სამხატვრო აკადემიაში გაგვარძელო სწავლა. ასე თუ ისე, ქართულ ხელოვნებაში გავერკვიე, მისი სული შევიგრძენი, ვნახოთ, ევროპა რას შემოთავაზებს. ზოგადად, ეს ძალიან დიდი პროცესია და ბევრი რაღაც ხდება. კონკრეტულად რა, ვერ გეტყვით, მაგრამ ზუსტად ვიცი, მინდა, რეალიზებული მხატვარი ვიყო და ჩემი პროფესიით ვიცხოვრო. ამჟამად დიდი სიამოვნება ჩემთვის არ არსებობს, ეს არ არის საქმე, რომელსაც ძალიან ვუყვარები. ამდენად, სხვა პროფესიაში ვერც წარმომიდგენია თავი.

– ნინო, ფიქრობთ, რომ თქვენი შესაძლებლობებით, უნარით მხატვრები ღვთისგან რჩეულები ხართ?

– ვიცი, რომ ძალებმა ნიჭი მომცეს. როცა არ ვხატავ, მგონია, რომ უპატივებელი დანაშაულია, ნიჭი მომცეს და არ გამოვიყენო!

საქმე, როგორც სწავლა და უყვარდა

პალმირან ბიბილიაშვილი _ 90

არასოდეს, ასე საჯაროდ, ხმადაღლა არაფერი მითქვამს კულტურულ ღირებულებათა დამცველ პიროვნებაზე, დიდ ჯიხაიშელ ვალერიანე ნოეს ძე ბიბილიაშვილზე, რომელმაც მთელი თავისი ცხოვრება და ოჯახური სიბოლო საძირკვლად დაუდო დიდი ნივთიერების ცხოვრებისა და მოღვაწეობის მდიდარ საუნჯეს, ნივთიერების მდიდარ საუნჯეს, ნივთიერების მდიდარ საუნჯეს, ნივთიერების მდიდარ საუნჯეს...

ბატონი ვალერიანე 1929 წლის 12 ოქტომბერს დაიბადა სოფელ დიდ ჯიხაიშში, ის ამ დღეებში 90 წლის გახდებოდა. 1947 წელს დაამთავრა დიდი ჯიხაიშის საშუალო სკოლა, 1951 წელს ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი ქართული ენის, ლოგიკისა და ფსიქოლოგიის მასწავლებლის სპეციალობით. ამავე წელს მუშაობდა დიდი ჯიხაიშის საშუალო სკოლაში მასწავლებლად, პარალელურად მუშაობდა ნივთიერების სახლ-მუზეუმში ექსპერტ-მეცნიერად. 1959 წლიდან ვალერიანე ბიბილიაშვილი მუშაობდა მეცნიერ-მუშაკად ნივთიერების სახლ-მუზეუმში. 1970-1973 წლებში დიდი ჯიხაიშის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეა. 1973 წელს იგი კვლავ უბრუნდება ნივთიერების სახლ-მუზეუმს და განაგრძობს მუშაობას ჯერ მეცნიერ-მუშაკად, 1974 წლიდან მუზეუმის ფონდების გამგედ, ხოლო 1984 წლიდან ამავე სახლ-მუზეუმის დირექტორია. ამავე წლიდან არის მუზეუმთან არსებული კულტურის სა-

ხალხო უნივერსიტეტის რექტორი. მუზეუმში მუშაობის პერიოდში ვალერიანე ბიბილიაშვილი სისტემატურად ზრუნავდა მუზეუმის ფონდის გამდიდრების, სტაციონარული ექსპონატის რემონტისა და რესტავრაციისათვის, ეწეოდა ფართო სამეცნიერო და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას, საგანმანათლებლო საქმიანობას, იღვწოდა მუზეუმის ქონების, სამეცნიერო მასალების დაცვა-შენარჩუნებისა და გამდიდრებისათვის. მისი უშუალო თაოსნობით და მონაწილეობით მუზეუმში სხვადასხვა დროს გამოიცა საცნობარო ლიტერატურა, ნარკვევი "ნივთიერების სახლ-მუზეუმი", მეცნიერი, პლაკატები, ბუკლეტები, სამახსოვროები. ხოლო ნივთიერების დაბადებიდან 150 წლისთავთან დაკავშირებით სხვა მეცნიერ-თანამშრომელთან და ფონდის გამგესთან ერთად მოამზადა კრებული "ნივთიერების სახლ-მუზეუმი - 150", ასევე ბუკლეტი "ნივთიერების სახლ-მუზეუმი". ვალერიანე ბიბილიაშვილი არაერთხელ იყო არჩეული რაიონული საბჭოს დეპუტატად და მიღებული ჰქონდა მრავალი ჯილდო, წერდა ლექსებს, ხატავდა, კარგად იცნობდა მსოფლიო ლიტერატურას, იყო ოუმორით დაჯილდოებული, კარგი მჭერმეტყველი, ამაყიც და თავმდაბალიც, დიდ ჯიხაიშზე უნომოდ შეყვარებული. ის შეყვანილია სამტრედიის ენციკლოპედიაში.

ჩემთვის, როგორც ქალისთვის, საოცრად ლამაზი და დაუეწიყარი იყო მისი და მისი მეუღლის, ქალბ-



ატონი თინა ჭილაძის ურთიერთობა, ერთგულების ჯაჭვი იყო შეკრული, ოჯახი, მუზეუმი. საზოგადოებრივი მოღვაწეობა, მივირს, როგორ ახერხებდნენ შვილებზე ყურადღების დათმობას, ისინი ხომ ღირსეულ პიროვნებებად ჩამოყალიბდნენ, ლია მისი უფროსი ქალიშვილი მამის გარდაცვალების შემდეგ აგრძელებს მშობლების გზას და ესათუება ნივთიერების სახლ-მუზეუმში.

დიდი ჯიხაიშში, ნივთიერების სახლ-მუზეუმში და მისი ეზო ლამაზ მოგონებებს იტევს ქალბატონ თინასა და ბატონ ვალერიანეზე, ექსპერსიები, ექსპონატების განახლება, ბატონ ნივთიერების ოჯახზე გამუდმებით

მასალების მოძიება და სტუმრების მიღება, 1976 წლიდან ნივთიერების დღის აღნიშვნა და სახალხო ზეიმი.

ბატონი ვალერიანე მასწავლებელი ქართული სუფრის თამაშის რანგში, გაწონასწორებული, რაფინირებული, ორიგინალური სადღეგრძელოებით ლიტერატურისა და პოეტური ქმნილებების ნაზავით, გადმოცემის არაჩვეულებრივი უნარით, ქალისადმი განსაკუთრებული პატივისცემით ყურადღებას ახდენდა მისი და ქალბატონი თინას სიყვარულის ისტორია, რაც მისივე პოეტური სტილით იყო გაჯერებული, "შენ არა ხარ, მე რომ

ცეცხლი მომივიღე და ვიწვევი ნელა-ნელა, ნუთუ შენ არ შეგიძლია ჩემი შველა, მოდი, ერთად გავატაროთ ეს სიცოცხლე, სიყვარული, ჩემო სულო, ჩემი გულის სათნო სიმთაზნადეაწყოლო".

თითოეულ სამტრედიელში, ვინც კი ნივთიერების სახლ-მუზეუმს სწევია, არ დაავიწყდება მისი ექსპერსიამბლობა, განსაკუთრებით კი მის მიერ შთაბეჭდილებად წარმოთქმული დიდი ნივთიერების სიტყვები: "შე შენ მიყვარდი, შენ მწამდი, შენ გემსახურებოდი ავად თუ კარგად"...

2001 წელს, სწორედ მუზეუმის გახსნის 50 წლისთავის დღეებში გარდაიცვალა ბატონი ვალერიანე ბიბილიაშვილი, წინა დღეებში მე და ქალბატონმა მაცნემა ჩირაგამქ ქალთა რაიონული ორგანიზაციების სახელით მოვიწვევეთ მძიმე ავადმყოფი, როგორ გაუხარდა...

დაკრძალვის დღეს მისი ნეშტი ნივთიერების სახლ-მუზეუმის წინ დაასვენეს, იქ შეკრებილი საზოგადოება გარიდებული უსმენდა თავისი ინტელექტით გამოჩენულ დიდ ჯიხაიშელს. ფილოლოგიური მეცნიერებათა კანდიდატს, თემურ ნუცუბიძეს. ეს იყო უაღრესად წრფელი, თბილი და ტკივილებით დატვირთული გამოსათხოვარი.

ბატონმა ვალერიანემ 18 წელამარადისობაში დაიძვირა ადგილი. ის ერთგულად და თავდავიწყებით ემსახურა ოჯახს და საზოგადოებრივ საქმეს, რომელიც სწამდა და უყვარდა.

ნათელა ბიბილიაშვილი

მოკვალ უმხვედრად დიდ საკონცერტო დარბაზებში

ლევან გაბაჩიაშვილი

ფილიპონ ქორიძის, ევგენი მიქელაძის, ბათუკრავეიშვილის, ლევან შენგელიას... მშობლიურ სამტრედიის ხელოვნებისადმი, მუსიკისადმი ტრფიალთ ვერავის გააკვირვებთ და მაინც, რაოდენ სასიამოვნოა, რომ ახალგაზრდებიც ინტერესდებიან ხელოვნებისა და მუსიკის სხვადასხვა მიმართულებით.

ჩვენს რესპონდენტს რედაქციაში შემთხვევით შევხვდი, დიდი ხანია არ მენახა და გადავწყვიტე მისი საქმიანობის შესახებ გაზეთის მეთველისთვისაც მომეთხრო.

რამაზ შენგელია მამინ გავიცანი, როცა ფოლკ-როკ ჯგუფი "ლადი" ზენიტში იყო და რამაზიც მისეული უზნადი შესრულებით ადაფრთოვანებდა მსმენელთ. სამტრედიის IX საჯარო სკოლა დაამთავრა. დედა, ქალბატონი მარინა ბაღდავაძე, ამავე სკოლის პედაგოგია, მამა, მერაბ შენგელია მუსიკოსია, მას კონსერვატორია აქვს დამთავრებული, 18 წლის მამა ნიკა ფეხბურთელია.

სკოლის პარალელურად რამაზმა დომენტი შანიძის სახელობის სამტრედიის სახელოვნებო სკოლა დაამთავრა, განსაკუთრებული სიბოლოთი გაიხსენა პედაგოგი ნათია გაბრ-

აძე. სკოლის დირექტორ ირმა შანიძისა და ამ სკოლის პედაგოგების მისამართით კი სამადლობელი არ დაუშურებია, მათ შემაყვარეს მუსიკა, - გვითხრა გულწრფელად.

ამჯერად რამაზ შენგელია თბილისში, ევგენი მიქელაძის სახელობის ნიჭიერთა ათწლეულში სწავლობს (ვიოლინოს განხრით) მისი პედაგოგი სამტრედიელთათვის, ჩემი გაზეთის მეთველთათვის კარგად ნაცნობი ქალბატონი, ასევე სამტრედიელი, პროფესორი მანანა ქანთარია გახლავთ. ათწლეულის შემდეგ სწავლას კონსერვატორიაში გააგრძელებს, შორეული ოცნებაა, საზღვარ-

გარეთ წავიდეო. - გვითხრა რესპონდენტმა და როცა ვკითხე, თუ რატომ-თქო, გაგვიხილა, საქართველოში ჯეროვნად არ არიან დაფასებული ხელოვნებიო...

ჯერ 20 წლისაა რამაზი, უყვარს ხატვა, იმ დროს იხსენებს, ფეხბურთის გატაცებით რომ თამაშობდა, ჩემი მწერტნიელი ბატონი ტარიელ დვალისძე იყო გახლდათ. - გვითხრა და აღიარებული მევიოლინების შესახებ თავისი აზრი გამოთქვა: ლიანა ისაკაძე, გუჯა მარდინი, სტეფანე გრაპელი, გასაოცარი მუსიკოსები არიანო.

თანამედროვეობის ყველაზე დიდ ქართველად, დაუფიქრებლად დაასახელა ჩვენმა რესპონდენტმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე და ხანგრძლივი სიცოცხლე უსურვა მის უწმინდესობას, პატრიარქის სამწყსოს კი, კათოლიკოსის მიერ ნაჩვენები გზით სიარულის უნარი.

ფოლკ-როკ ჯგუფი "ლადი" ვახსენეთ ზემოთ. უდავოა მეისტორიერი, რომელიც წლების შემდეგ სამტრედიის კულტურული ცხოვრების ქრონიკებზე დაწერს, გვერდს ვერ აუქცევს "ლადის" მიერ მოკლე დროში მიღწეულს. როგორც რიგითი სამტრედიელს დიდი სურვილი და მოლოდინი მაქვს მსგავსი ჯგუფების



დაარსებისა, რათა შესაბამისი მონაცემების მქონე ახალგაზრდებს მიეცეთ საშუალება, თავიანთი შესაძლებლობები გამოავლინონ.

ვიმედოვნებთ, შორს არ იქნება დრო, როცა ვეებერთელა პრესტიჟულ საკონცერტო დარბაზებში აფიშები რამაზ შენგელიას კონცერტზე

მიგვიპატეთებენ, მანამ კი, წარმატებებს უსურვებთ ჩვენს რესპონდენტს, თან მამაშვილურად გურჩევთ, მისი ნიჭი, უნარი და შესაძლებლობები მხოლოდ საქართველოს მოახმაროს, საზღვარგარეთ კი საგაცტროლოდ...

მეცენატი

(ოთარ ცირეკიძე)

ერთი წლის წინათ, სრულიად საქართველოს საზოგადოება "კოლხეთის" პრეზიდენტის, აწ განსვენებული აკადემიკოსის, ბატონი ალექსანდრე კუჭუხიძის თაოსნობითა და რედაქტორობით სამტრედიის ენციკლოპედია გამოიცა. წიგნის მთავარი სარედაქციო კოლეგიის შემადგენლობაში მეც ვიყავი და მასში განსათავსებელი მასალების ნაწილის შეგროვება-დამუშავებაც მომიწია, მათ შორის სამტრედიის კაცურკაცობით კარგად ცნობილი ბატონი ოთარ ცირეკიძის შესახებაც. ამდენად, სრული უფლება მაქვს, ენციკლოპედიიდან მის შესახებ მცირედი ამონარიდი ჩემს მოგონებებშიც გადმოვიტანო.

ბატონი ოთარი ორგანიზატორული ნიჭით დაჯილდოებული ხელმძღვანელი მუშაკი იყო. ამასთან, სიკეთითა და გულუხვობით გამორჩეული პიროვნება, მეგობრების ეტალონად აღიარებული. სხვისი ღვინის მოხარული და ჭირ-ვარამის მოზიარე. ქველმოქმედი და სიყვითის მთესველი. ჰქონდა იმპროვიზაციის საოცარი უნარი და იუმორის დიდი ნიჭით იყო დაჯილდოებული. თავად საკმაოდ ერუდირებული მეგობრობდა გამორჩეულ საზოგადო მოღვაწეებთან, მწერლებთან, ხელოვნების მუშაკებთან. იყო ცნობილი ბიბლიოფილი.

1947 წელს, სამტრედიის რეინიგების №23 საშუალო სკოლის ოქროს მედალზე დამთავრების შემდეგ, 1953 წელს ასევე წარჩინებით ამათავრებს თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მეღვინეობის ფაკულტეტს და რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონში სპეციალობით მუშაობის შემდეგ, 1960 წელს სამტრედიისში დაბრუნდა და ხელეულის წყლებს ქარხნის დირექტორად ინიშნება.

ბატონი ოთარის პედაგოგი მშობლები, ჩვენი ქალაქის ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლები იყვნენ. მამა, ბატონი იპოლიტე, რუსული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტი, ხოლო დედა, ქალბატონი ნადეჟდა (ნადია) მათემატიკოსი იყო. ეს გახლდათ ოჯახი, რომელიც სამტრედიის ახალგაზრდა ინტელიგენციის ტრადიციული შეკრების ადგილად ითვლებოდა. მათ შორის მეც მოვიანებოდი.

მიუხედავად იმისა, რომ პროფესიით მეღვინის, ბატონი ოთარის მარანში წელთა სიმრავლითა და ასორტიმენტით გამორჩეული ღვინოები იყო განთავსებული, ჩვენი შეკრებები უფრო მეტად ჩაით, ქალბატონი ნადიას ან ბატონი ოთარის სტუმართმოყვარეობითა და დიასახლისობით განთქმული მეუღლის, ქალბატონი ლამარას მიერ ნახელავი ტკბილეულით, შავი ღვინის დეგუსტაციითა და ლიტერატურა-ხელოვნებაზე საუბრით შემოიფარგლებოდა. ხანდახან მასპინძელს მარანში "მოწყვნილად" მყოფ ბოცებსაც შევასვენებდით და ოთარიც ჩვენთვის საიმოვნების მოსანიჭებლად არაფერს იშურებდა. მით უმეტეს, თუ მისი დიდი სამეგობროდანი ჩვენთან ერთად ვინმე სტუმრად იქნებოდა.

რადგან სამეგობრო ვახსენე, აქვე დავძენ, რომ ოთარს ძალზე ახლო ურთიერთობა ჰქონდა მწერლებთან: ნოდარ დუმბაძესთან, ჯანსუღ ჩარკვიანიანთან, ზაურ ბოლქვაძესთან, ტარიელ ჭანტურასთან და სხვებთან. ბატონი ნოდარი და ზაური მშობლიურ ჩოხატაურში ისე არ წავიდოდნენ, რომ ოთარს ოჯახში არ სწევდნენ. ოთარის ქალიშვილი ნანა იგონებს: "ლენინგრადის სამედიცინო ინსტიტუტში სწავლისას ნოდარი ბიძია ყოველთვის მოგვინახულებდა და გულრიფში მისი სახლის ხშირი სტუმრებიც ვიყავითო".

ოთარის ოჯახში გაეცანი და შემდეგში დიდ მეგობრები გავხდით მე და პოეტი ზაურ ბოლქვაძე. იგი, ნოდარის გარდაცვალების შემდეგ, რამდენიმე წელს, სატირულ-იუმორისტული ჟურნალის, "ნიანგის" რედაქტორიც იყო.

იუმორის უბადლო ნიჭით დაჯილდოებული ოთარი, "პაექრობის" დროს ქვეყნის პირველ იუმორისტულად აღიარებულ ნოდარსა და ზაურს ტოლს არაფერზე უდებდა. ერთ-

ხელ, თბილისში სტუმრობისას, ერთ-ერთ რესტორანში ზაურს ოთარი შეუნიშნავს და ექსპრომტით თავიც შეუხსენებია:

"თბილისში როცა ჩამოდი, გამოიარე ვაგზალი, ვერ გამოიგია, რა მოხდა, რატომ არაფერს აგზავნი".

ოთარიც, აბა, რა ოთარი იქნებოდა, რომ მისთვის გაკენწვლა ეპატებინა და პასუხიც არ დაუყოვნებია:

"ვაგზალით არ ჩამოვსულვარ, გამოვიარე სურამი, ვერ გამოიგია, თბილისში, მე ვარ, თუ შენ ხარ სტუმარი".

ერთხელ ოთარი მირეკავს: "სად ხარ, ამდენი ხანია, რატომ არ მოდიხარ, ხომ არ მემღერი?" ჩემთან ერთად სტუმრად წამოსვლის სურვილი მეუღლემაც და ბავშვებმაც გამოთქვეს. ჩვენს შესახებდრად გამოსული ეზოში შეჩერდა და მთელი სერიოზულობით მკითხა, რა მოხდა, ხომ მშვიდობა გაქვს, ნატა ბებია ხომ კარგადააო. მოულოდნელი შეკითხვის გამო სახეზე შიში და შემოფოტობა რომ შემამჩნია, დამაწყნარა: ისე ვივითხე, ისიც რომ არ წამოვიყვანა გამივივრდაო. ასეთი ხუმრობა შეიძლება ვინმეს უადგილოც კი მოეჩვენოს, მაგრამ ჩვენ ერთმანეთთან იმდენად ახლოს და შეთანხმებულები ვიყავით, რომ მსგავს რაღაცეებს ყურადღებას არ ვაქცევდით. ერთხელ, "ურუნალ" "ნიანგის" საკუთარი კორესპონდენტის მოწმობა მაჩვენა: "შენ რისი კონტროლის თავმჯდომარე ხარ, ხედავ, თბილისში დამაფასეს, შენ კი შტატგარეშე თანამშრომლადაც არ ამიყვანეო".

ბატონ ოთარზე, როგორც ქველმოქმედსა და შეჭირვებულთა თანადგომასზე, უპირანი იქნება მკითხველს, მრავალთა შორის მისი ცხოვრების, ერთი ეპიზოდი შევთავაზო. კომპაგმირის რაიონში ჩემი მუშაო-

ბის დროს, სოფელ ზედა გომის საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგემ, ჩემმა სტუდენტობის მეგობარმა, ბატონმა ვალერიანე თევზაძემ, მერვეკლასელი მოსწავლე რომან თევზაძე მომიყვანა. თან, მის მიერ, ხის და მარმარილოს ფილათა ნარჩენებზე რუსთველის "ვეფხისტყაოსნიდან" ცნობილი უნგრელი მხატვრის, მიხაი ზიჩის, მიერ ილუსტრაციათა მიხედვით შესრულებული ნამუშევრები მაჩვენა. რომლებიც მისი ასაკის გათვალისწინებით იმდენად სრულყოფილად იყო შესრულებული. ავტორისადმი უყურადღებობა დაუშვებლად მივიჩნიეთ. შევთანხმდით, რომ რომანი რვა კლასის დამთავრების შემდეგ სწავლას თბილისის იაკობ ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელში გააგრძელებდა. ამასთან დაკავშირებით ვალერიის განმარტებით, შეჭირვებულ მღვთმარობაში მყოფი რომანის ოჯახის თანადგომის იმედი არ უნდა გექონოდა. (მამა სამამულო ომის მონაწილე, მეორე ჯგუფის ინვალიდი. დედა და შვიდი და ძმა), ერთადერთ იმედად კეთილად აღამიანთა თანადგომა რჩებოდა. მეც, პირველ რიგში, ჩვენ რაიონში კაცური-კაცობით ცნობილი, შეჭირვებულთა დამხმარესა და ხელის გამმართავს, ხელოვნებისა და პოეზიის დიდ მოყვარულ პიროვნებას, ჩემს მეგობარს, რაიონის პურკომბინატის დირექტორს, ოთარ ცირეკიძეს მივმართე, რომლის თანადგომით ყველაფერი დადებითად გადაწყდა. თბილისში წასვლამდე ოთარმა პურკომბინატის ტერიტორიაზე სკვერის მოსაწყობად რომანთან ხელშეკრულება გააფორმა, კარგა გვარიანი თანხაც გადაუხადა, სათბილისოდ მის შემოსავალზედაც იზრუნა და სწავლის დროსაც ყურადღება და თანადგომა აღუთქვა.

რომანის პიროვნების შესახებ თხრობას აღარ გავაგრძელებ. მკითხვე-

ელს შეუძლია მას, ჩემს წიგნში "წარსული, რომელიც დასაიწყებლად არ მემეტება", სრულად გაეცნოს. მხოლოდ ერთს დავძენ: რომანმა აღნიშნული სასწავლებლის დამთავრების შემდეგ სამხატვრო აკადემია დამთავრა, თბილისში ცხოვრობს, ჰყავს შესანიშნავი მეუღლე და ორი შვილი. ვაჟმა, ასევე სამხატვრო აკადემიის დამთავრების შემდეგ, გარკვეული წლები გერმანიაში სპეციალური მიწვევით იმუშავა.

ჩემი და რომანის ახლო ურთიერთობა დღესაც გრძელდება. ჩვენი ყოველი შეხვედრაც იმიერში გადასახლებული ბატონი ოთარის მოგონებით იწყება, რომელიც მისეული იუმორით მეტყობდა: "ეს რა ვქენით, გომის საბჭოთა მეურნეობას რა მერგოლური დაუკარგეთო".

დღეს ოთარის ოჯახში, მის მამასავით კეთილი და ყურადღებიანი ექიმი შვილი ნანა და მეუღლე ბატონი ნუგზარ ზაქალია სათუთად ინახავენ ბატონი რომანის მიერ გამოძეწილ ოთარის ბიუსტს.

ქვეყნის ხვალისდელ დღეზე დაფიქრებულ მკითხველს, ალბათ, არ გაუკვირდება, რომ ამ შემთხვევაში, რომან თევზაძის პიროვნებას ამდენად ადგილი დავუთმე. და თუ ეს გავაკეთე, მხოლოდ იმიტომ, რომ დღევანდელ ქართულ რეალობაში, რომანის მსგავსი რამდენი ნიჭიერი ახალგაზრდაა, რომელიც თავისი თვითმოყვადი ნიჭისა და უნარის სამზეოზე გამოტანას ვერ ახერხებს და... მხოლოდ იმიტომ, რომ ოთარ ცირეკიძის მსგავსი ქველმოქმედი სანთლით საძებარი გახდა. არადა, როგორ სჭირდება ისინი დღევანდელ საქართველოს!

რაც შეეხება მის წიგნიერებას, ამაზე პასუხს მისი სახლის ის ორი, წიგნების კარადებითა და ჟურნალ-გაზეთებით სავე ოთახი იძლეოდა, რომელშიც საუკუნეთა წინანდელ გამოცემებსაც კი ნახავდით.

ოთარის მეგობართა შორის რამდენიმე კაციღა შემოვრჩით, რომლებსაც იგი, ყველა მისეულ სიყვითესთან ერთად, ალბათ, სუფთა და ზოგჯერ ზედმეტად გულანუყვებულად კი გვახსოვს, ისეთი, როგორიც ნამდვილად იყო.

ბონის ურცხვარაშვილი

შენი კოჭლი ღიმილით შენაქები ეკ, ზეცა წითლდება ნაორსული, მეხე, ვარდაკაჭკაჭა, ლურჯი ყვავილი
ჭორაოს ბაბუს სიხმრებში ამოსული.
ესაა ჩემი ეზო...

ისე გათენდი ნაწვიმარზე, იებივით რატომ დამორცხვდი? წუხელ სიხმარი რომ გადაგიდე!... მზეზე რა კარგად გამოჩნდი.

წუხელ მშობლებს სიხმარი გადაუვლედი
დილის ღამაში სურათი გამოვიდა შენ გამომქლავნდი და მზის წვერზე გასამრობად დაკვიდე...

რა პატარაა წუთისოფელი, მაგრამ რომ ერთხელ შემოუარო, როგორ ბერდები და ითანგები!..

ახლა გათენდი თეთრ გოგონად.

განათიდი სულ ერთი ლექსის თქმუბე.
წვიმს, ისე – ღიმილი მძინარედ დაგსვენებია და ნაწნავებით კიდიხარ ცაზე. მოწვიმხარ თითქო ასოებებით და სტრიქონ-სტრიქონ ეცემი ქვაზე...
სიხმრის ახდენა
შენს ტკბილ სიხმრიდან მოვიპარე ერთი ნახატი და გაუპკეთე შენი წარწერა. დილით ვნახე გათენებისას ფიროსმანის პეიზაჟივით მთვარის კაუჭზე დაკიდული შენი ფერწერა...

ყვავილის სიბროლეს თითქო აურეკლე მზეზე გაზაფხულად...
და შუადღის სიწინარედ გაფორფი-

ახალი ლექსები
ეხული
ღიმილი ტუჩზე დაგსვენებია ჩუმად. ყვავილის სიბროლეს მზეზე აურეკლე...

ჩუმად მოეპარა სახიდან ღიმი, მერე თვალები მოგპარე ჩუმად. შენი ხელები მოგპარე მერე, თან შენი ტანიც თან მოგყვა თუშცა. მე წავალ შორით გულის ხურჯინით,
იყავი მისთვის, არარას გეტყვი, მზეს ჩამოვიყვან, შენს შორის ჩავუენ
და ნელა-ნელა აგაწვობ ჩემთვის... იყავი მისთვის იყავი მისთვის, მე მაპატიე ჩემი ქურდობა...

დავბერდი, მაგრამ სიბერემ ნაოჭები რომ გამიჩინა,

მშობლებო, თქვენი ნათითურები ხომ არ დამეტყო?..
ჩემი ბიორგაფია
მე ვინ ვიყავი? მგზავრი ვილაცა, და ქალმა მომცა თავშესაფარი, კაცმა ნაჩუქარი თითისაგან ტანი მომიქსოვა, ჩამაცვა და შევიდი მიწოდ. აი, ჩემი ბიორგაფია...

ვამის ლერწი ხიდივითაა გადებული საიქიოდან სააქამდე, სადაც სიმღერის ურმებით მგზავრნი ერთმანეთს ვხვდებით მამა და შვი-

ლი...

ჩემს ოდას თითქოს მამის ჩრდილი ემოსა ჩუმად, ვიხრდებოდი და ნელ-ნელა მერე, ვხვდებოდი, რომ სადამოსავით როგორ უმოკლდებოდა ყოველ დღე სახლს მამის ჩრდილი...

რად მოგვწონს იგი? იმ ფერში, ალბათ, არ იცი, ისე ღმერთს რომ უყურებ...

ტალავერები მოწველილ ძროხებს ემსგავსებან. მიდიან და "პარულალოს" მიიბღავენ...
პროზა ტიპურა

შენ ბიბლიური იაკობით ეხიანებოდი ესამაიხილობას

ლევან გაბუნაძე

“პატრიოტი ჰქვია, ვისაც სიცოცხლის უმთავრეს საგნად გაუხდია მშობლიური ქვეყნის ბედნიერება, ვინც თავგამოდებულად და შეუპოვრად ებრძვის ყოველს დაბრკოლებას, რომელიც მის სამშობლო ქვეყანას წარმატების გზაზე გადაეღობება. ვისაც მთლად დაკარგულად მიაჩნია ყოველი წამი, რომელიც არ მოუხმარია მამულის ზრუნვისათვის, ვისაც ეწვის გული მამულის ტანჯვით, უხარის მისი ღვინითა, ვინც ბედნიერია მისი ბედნიერებით, უბედურია მისი უბედურებით და ვინც მზად არის, დიმილით შესწიროს მას თავისი სიცოცხლე.”

მამულის ზრუნვისათვის

ცნობილი განმანათლებლისა და საზოგადო მოღვაწის იაკობ გოგებაშვილის თქმული აღნიშნება ამ დღეებში. (მის მშობლიურ ვარაიანში მაინც) რაკილა საყოველთაოდ ცნობილი ამ მამულაშვი-

ლის საქმენი საკმირონი, ამჯერად მის მიერ სიკვდილამდე რამდენიმე ხნით ადრე შედგენილი ანდერძის შინაარსს გაგაცნობთ, რომლიდანაც ნათელი ხდება მისი კაცთმოყვარული ბუნება და ხასიათი.

იაკობ გოგებაშვილმა საკუთარი ქონება ქართველ ხალხს უანდერძა. 300 თუმანი მისი დასაფლავებისა და ძეგლის დასადგმელი ხარჯების დასაფარავად გადადო. ფასიანი ქალაქების თითო ბილეთი უანდერძა “წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას”, სალიტერატურო ფონდს, ქართულ დრამატულ საზოგადოებას, ისტორიისა და ეთნოგრაფიის საზოგადოებას, ჟურნალ “განათლებას” წიგნები და სახელმძღვანელოები 9 000 მანეთი წლიური შემოსავალი და ვერაზე 280 კვ. მეტრი საყენი მიწის ნაკვეთი. “წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას”, 120 მანეთი. 120 მანეთი, ეკატერინე გაბაშვილის ქალთა პროფესიონალური სასწავლებლისათვის იყო განკუთვნილი, ასევე განათლების საზოგადოებისა და საბავშვო ბიბლიოთეკისათვის, აკაკი წერეთელს ათათი თუმანი ჰონორარად უნდა მისცემოდა იმ ლექსებისათვის, რომლებიც იაკობის სახელმძღვანელოებში იყო შესული. იაკობმა მისი წიგნების ასოთამწობ ლადო კალანდაძეს, წიგნის მადამის გამგე ივანე ავალიშვილსა და “წერა-კით-



ხვის გამავრცელებელი საზოგადოების” ბუღალტერ ვასო ელიაშვილს უანდერძა ას-ასი მანეთი. ქონების განაწილებისას კუთხეში იდგა ცრემლმორეული ლუარსაბ ბიცვაძე

(პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე – სამტრედიელი). როცა კითხეს, შენ რაღას წაიღებო, შეიხრა, თვალი მიაშტერა კუთხეში მიდებულ იაკობისეულ ჯოხს, რომელზეც არავინ დავობდა და წყნარად

თქვა: – აგერ ეს ჯოხი მომეცით იაკობის სახსოვრად. ლუარსაბი ანდერძის მიმღებთა სიაში არ მოხვდა მისივე სურვილით, მან ამჟამ იაკობს კატეგორიული უარი უთხრა.

სხვისი იუბნოს სათქმელი, თვისა გახჯასა მაცვდეს

ლევან გაბუნაძე

განთქმულ პოეტებს ვერგილიუსსა და ჰორაციუსს მფარველობდა რომაელი პოლიტიკური მოღვაწე მეცენა, და არა მარტო მფარველობდა გულუხვად ეხმარებოდა მათ. მისი სახელიდან წარმოდგება სიტყვა მეცენატი და მეცენატობა, რომელსაც იმდენი-არი გადისაბუღდება აქვს, რამდენ ადამიანსაც სურვილი სხვათა თანადგომისა.

დღეს იმ ადამიანზე, მისი კეთილშობილების შესახებ გვინდა ვთქვათ, სამტრედიანში (და არა მარტო) კაცურად რომ ცნობენ, უყვართ, აფასებენ.

1994 წელი. კარის მეზობელმა, რეინიგზის საავადმყოფოს ღვაწლმოსილმა სტომატოლოგმა, ქალბატონმა ცაცა (ელენე) კანდელაკმა მთხოვა: ლევან, შეილო, სიარული არ შემიძლია, ერთი პატივი უნდა მცე, ეს განცხადება მთავარ ექიმთან, თამაზ ჟორდანიასთან უნდა მიმიტანო. მიჭირს, მაგრამ რა ვქნა, ყველაფერს აქვს დასასრული. ქალბატონ ცაცას საკუთარი ოჯახი არ ჰყავდა, მისთვის სამსახური ყველაფერს ნიშნავდა. განცხადებას ჩაუხედე, სადაც იგი მთავარ ექიმს სამსახურიდან განთავისუფლებას სთხოვდა ხანდაზმულობის პენსიაზე გასვლის გამო, თან უბოდიშებდა, დიდხანს ვერ შევძელი მოსვლაო.

1990-იანი წლები ყველას მოეხსენება, თუ რა გაუსადილი იყო ქვეყნისათვის, უჭირდა ხალხს და მათ შორის ქალბატონი ცაცას ოჯახსაც. მეორე დღეს დილით რეინიგზის საავადმყოფოს მთავარ ექიმთან მივედი და განცხადება წარუდგინე. სწორედ მაშინ გავიცანი ბატონი თამაზ ჟორდანიას. დამელოდეთო, მითხრა, კაბინეტში დამსვა და ოთახიდან გავიდა. ცოტა ხნის შემდეგ შემოვიდა და მეუბნება: იცით რა, ქალბატონი ცაცა ჩვენს საავადმყოფოში ნახევარი საუკუნეა მუშაობს, უდიდესი დამსახურება, ღვაწლი აქვს, ეხლა კოლეგებს დავეთხოვინებ და ჩემი წინადადება ყველამ მოიწონა. გადაეცით ქალბატონ ცაცას იყოს სახლში, თავს მიხელოს, ჩვენ კი იმ ხელფასს, რასაც ის ღებულობდა, შევუნარჩუნებთო. მაღლობა გადაუხადე და დაებრუნდი, თან საოცრად აღფრთოვანებული, გახარებული რომ ასეთი კეთილი კაცი გავიცანი ბატონი თამაზის სახით.

მწელია აღწერო ის სიხარული, ქალბატონი ცაცას ოჯახი რომ მოიცვა. ასე გავრძელება მანამ, ვიდრე ერთ ჩვეულებრივ დღეს იგი არ აღესრულა. ამჯერადაც მე მომანდო ოჯახმა სამწუხარო ამბავი მეუწიებინა გარდაცვლილის კოლეგებისათვის. ისევე ბატონ თამაზთან მომიწია შესვლა და ისევე საოცარი სითბო და თანაგრძნობა გარდაცვლილისა და მისი ოჯახისადმი. დავრძალვის ხარჯების ძირითადი ნაწილი საავადმყოფომ აიღო საკუთარ თავზე. კუბოც მათ გაუკეთეს გარდაცვლილს და ორგანიზებულად მოვიდნენ დაკრძალვაზე. დამსახურებულ ექიმს თანამშრომელთა სახელით თბილად გამოეთხოვა მისი კოლეგა, ქალბატონი ლალი ჩხაიძე. განსაკუთრებული ორგანიზებულობა საოცრად შესამჩნევი იყო გარდაცვლილის სამეზობლოსათვის. როცა ჩემს თანასკოლელ ნუკრი (რობინზონ) პაიციესთან, რომელიც მაშინ რეინიგზის საავადმყოფოში ექიმად მუშაობდა, დავაფიქსირე ჩემი აღფრთოვანება საავადმყოფოს თანამშრომლებისა და მათი თავკაცის კეთილშობილების თაობაზე, მითხრა, მთავარმა ექიმმა საგანგებოდ შეგკრიბა და გაგაფრთხილა, რომ ასე მიგვეყო პატივი ღვაწლმოსილი კოლეგისათვის.

დიდი დრო გავიდა მას შემდეგ და ამ წლების მანძილზე არაერთხელ მინახავს, გამიგია თუ როგორ ყოფილან “ჩასაფრებულები” მაგანი, მაგანთა პენსიაზე გასვლაზე, “ინტელიგენტური დიმილით” როგორ შეასხებენ ხოლმე პენსიონრებს ხანდაზმულობას.

ამ ამბიდან მიმდინარე წლის 14 ოქტომბერს საუკუნის მეოთხედი გავიდა. თითქოს უჩვეულო არაფერია, თუმცა, კაცთმოყვარეობის, ღვაწლმოსილთა ამავის დაფასების საოცარი მაგალითია გამოხატული მონათხრობში. რაც მთავარია, ამ კეთილშობილების შესახებ სიტყვა ერთხელაც არ დასცდენია ბატონ თამაზს.

ჩვენ კი, ქალბატონ ცაცას სამეზობლოსა და მის ოჯახს, დღესაც გვახსოვს ცაცა ექიმის ათროლოგული ხმით აღვლენილი ლოცვა. თამაზ ჟორდანიას გაახაროს ღმერთმაო, წამდაწამ რომ გაიძახოდა და ოჯახის წევრებიც კვერს უკრავდნენ.

ბრძენია ქართველი კაცი, ტყუილად როდი თქვა ჩვენმა წინაპარმა: “მადლი ქენი და ქვას დადო”. შეამაყება, რომ ჩვენს პატარა ქალაქში ცხოვრობს ადამიანი სხვათა თანადგომის, სხვათა გახარების სურვილი და უნარი რომ აქვს მიმადლებული ყოველგვარი აფიშირების, თვითრეკლამისა და უკუკების მოლოდინის გარეშე.

დიდი ხანია მინდოდა ამ თემზე ხმაამალა მეთქვა და აი...

ასეთი იყო ქართველი უანბარო ძველროქი

“ყველგან და ყველაფერში უნდა იყო პატიოსანი, ეს უფრო მეტია, ვიდრე მილიონები”.

მიანდა ცნობილ მეცენატსა და საზოგადო მოღვაწეს, დავით სარაჯიშვილს. გასული საუკუნის დასაწყისში თითქმის ყოველ სასიყვარულო და ეროვნულ საქმეს დავით სარაჯიშვილი მზრუნველობდა, აფინანსებდა.

1939 წელს იგი საფლავში არ დააფენეს, დღის წესრიგში დადგა, დიდუბის პანთეონიდან ვაკის სასაფლაოზე მისი გადასვენება. საქართველოში, მის ნაპატრონებ ქვეყანაში გროში არ, მოიძებნა ამ საქმის სისრულეში მოსაყვანად. მაშინ ნათესავებმა სამარეში დავითისთვის ჩატანებული ჰალსტუხის დასამაგრებელ ბრილიანტზე მიიტანეს ყურადღება, ნეშტს შეახსენეს ბრილიანტი და გადასვენების ხარჯები დაფარეს.

დავითის გარდაცვალების შემდეგ მისი საქმის გაძილა მისმა დისშვილმა ნიკა ტარსაიძემ ითავა, იმ ტარსაიძემ, დიდმა ივანე ჯავახიშვილმა ახალდაარსებულ უნივერსიტეტში რომ მიიწვია ბიბლიოთეკის მოსაწყობად. ტარსაიძემ უნივერსიტეტში მიიტანა ასობით, ათასობით დავითისეული წიგნი კარადებთურთ.

განსაკუთრებით იღვწოდა დავითი ინტელექტუალური თაობისათვის, მას შეილი არ ღარჩენია, თუმცა ამბობდა: შეილი არ მეყვს, მაგრამ ვისზეც ვზრუნავ, ყველა ჩემი შვილიაო, მართლაც, მთელი საქართველო იყო სარაჯიშვილის შვილი.

ლევან გაბუნაძე



აჯაქი ჩაჩუა მსოფლიო ჩემპიონია!

8-დან 13 ოქტომბრის ჩათვლით საქართველოს დედაქალაქმა უმასპინძლა მსოფლიო ჩემპიონატს თავისუფალ და ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ვეტერანთა შორის. ჩემპიონატი, რომელშიც მსოფლიოს ყოფილი უძლიერესი სპორტსმენები იღებდნენ მონაწილეობას, გვიკარტოზიას სახელობის სპორტის სასახლეში გაიმართა. აღნიშნულ ჩემპიონატში მონაწილეობდნენ სამტრედიელი ვეტერანი სპორტსმენებიც, მათ შორის, გამოვყოფდით ყოფილ ოლიმპიურ პრიზიორს, აკაკი ჩაჩუას.

“სამტრედიის მაცნეს” ესაუბრა აკაკი ჩაჩუას პირადი მწვრთნელი რევაზ გვენცაძე: “აკაკის ბავშვობიდან ვწვრთნი, მას არაერთგზის უსახელებია სამტრედია და სრულიად საქართველო, ევროპის ორგზის პრიზიორი და მსოფლიო თასის მფლობელია, არის სიდნეის ოლიმპიადის პრიზიორი და ათენის ოლიმპიადის მონაწილე. ახლახან მან კიდევ ერთხელ გაგვახარა, მოიგო ოთხი შეხვედრა, პირველი – ფრანგი მეტოქე აშკარა უპირატესობით დაჯაბნა (8:0), მეორე შეხვედრაში უნგრელი მოწინააღმდეგე (7:0) დაამარცხა, მესამე შეხვედრაში გერმანელ მეტოქეს ასევე აშკარა უპირატესობით სძლია, ხოლო, ფინალურ შეხვედრაში 26 წაშში ყაზახეთის სახელით მოასპარევე აშკარა უპირატესობით (8:0) დაამარცხა და მსოფლიო ჩემპიონის ტიტულიც მოიპოვა. ასევე ხაზი მინდა გაუუსვა იმას, რომ აკაკი 2000 წლის სიდნეის ოლიმპიადაზე ყველაზე ტექნიკურ მოჭიდავედ აღიარეს, იგი კვლავ ბრწყინვალე სპორტულ ფორმაშია და უბადლო ოსტატობით გააოცა თავისი გულშემოტყვივარი. აკაკის შესახებ სიამაყით უნდა ითქვას, რომ ის თავადაც ეწევა აქტიურ სამწვრთნელო კარიერას, მისი აღზრდილია ოლიმპიური ვეტრცლის პრიზიორი რევაზ ლაშვი. ასევე, განსკუთრებული ხაზგასმის ღირსია ის გარემოება, რომ აკაკი არასოდეს გამოსულა სხვა ქალაქის სახელით, სამტრედიაზე შეყვარებული სპორტსმენი, მართალია, წლებია, დედაქალაქში ცხოვრობს, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში მშობლიური ქალაქის პრესტიჟის ერთგულ დამცველად და გულშემოტყვივრად რჩება.”

საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა, ვეფხია სტურუამ, რომელიც თავად ესწრებოდა ჩემპიონატს, ჩვენთან საუბარში აღნიშნა:

“არასოდეს დამაინტერესებდა ამ მსოფლიო ჩემპიონატზე აკაკის ასპარეზობა, აკაკი გამოიჩინოდა საოცარი ტექნიკით, თითქმის არ არსებობს იდეით, მას რომ არ გამოეყენებინოს ამ ორთაბრძოლებში. მან, მართლაც, დიდი შთაბეჭდილება დატოვა დარბაზში მყოფ მრავალრიცხოვან აუდიტორიაზე და დამსახურებულად მოიპოვა ჩემპიონის ტიტული. ვულოცავ აკაკის და მის ოჯახის ყველა წევრს ამ გამარჯვებას, ისინი დარბაზში უკლებლივ იყვნენ წარმოდგენილნი. ასევე ვულოცავ აკაკის მწვრთნელს, ბატონ რევაზ გვენცაძეს, რომელიც წლებია, ღირსეულად ემსახურება მომავალი სპორტსმენების აღზრდის საქმეს და ვუსურვებ წარმატებებს”.

“სამტრედიის მაცნე” უერთდება მილოცვებს და უსურვებს ვეტერან სპორტსმენს და მწვრთნელს, აკაკი ჩაჩუას კვლავ არაერთხელ გაეხარებინოს გულშემოტყვივარი.

ნათია ბაგუნაშვილი



მასტერ ლიგის გამარჯვებული ქვემო იმერეთში გამოვლინდა

“მასტერ ლიგა”, ანუ სოციალური პროექტი, რომელიც საქართველოს მასშტაბით ყველა იმ ადამიანს აერთიანებს, ვისაც ფეხბურთის თამაში უყვარს, მათში დედაქალაქიდან დაიწყო. მასში მხოლოდ ვეტერანი და მოყვარული ფეხბურთელებით დაკომპლექტებულ გუნდებს შეუძლიათ მონაწილეობის მიღება, პროფესიონალი ფეხბურთელები არ დაიშვებიან. ტურნირის მიზანი ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება გახლავთ. ტურნირში საქართველოს უკლებლივ ყველა მუნიციპალიტეტი გახლავთ ჩართული, ჯამში 260 გუნდი მონაწილეობს. ზემო და ქვემო იმერეთში საკუთარი ჩემპიონი გუნდები გამოავლინეს, რომლებიც ქუთაისის ჩემპიონ გუნდთან ერთად ფინალში მიიღებენ მონაწილეობას. ფინალი ნოემბერში გაიმართება. ფინალისტი გუნდი საქართველოს ჩემპიონი გახდება. “სამომავლოდ სამოყვარულო რეგიონალური ნაკრებების ჩამოყალიბების სურვილი გვაქვს. მივალწევთ იმას, რომ ის ახალგაზრდებს, რომლებსაც სურთ კარგი ფეხბურთი ითამაშონ, საერთაშორისო სახალისო ტურნირებში მონაწილეობის მიღების საშუალება მიეცეთ.” – ამბობს 717-ზე ფეხბურთის ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი ლაშა ჩალაძე.

ქვემო იმერეთის ზონის გამარჯვებულის გამოსავლენად, ტურნირის ფარგლებში დიდი ჯიხაიშის საფეხბურთო მოედანზე ჯგუფურ ეტაპში გამარჯვებული სამტრედიის, წყალტუბოს, ბაღდათის, ვანისა და ხონის გუნდები დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. ქვემო იმერეთის ზონის გამარჯვებული წყალტუბოს გუნდი გახდა.

თინა ბაგუნაშვილი



ეს ქორწილი გაგვიყვითა ჩემმა საყვარელმა შვილმა და სიმღერით მოგვილოცა, გია სურამელაშვილმა.

სიანხლე სამტრედიაში. იაპონური მაღალი ხარისხის საავტომობილო ზეთები. იმპორტირებულია იაპონიიდან. ტელ.: 598 788 328.

მამა პაპაპა!

უპრეტენზიო და შრომისმოყვარე თანამშრომელს, სანდო ადამიანს და ერთგულ მეგობარს, ჩვენს მამას, დიდი სიყვარულით ვულოცავთ დაბადების დღეს. მისი ოჯახის წინსვლით ბედნიერს ყოველივე საუკეთესო დაეხედოს. სიყვარულით, მეუღრობითა და ადამიანური სითბოთი სავსე დღეები არ მოაკლოს არსთა გამრიგემ. სასახელო გაზრდოდეს, გამრავლებოდეს დედისურთა ანდრია, ჩვენ კი ბევრი მიგველოცოს მისთვის გულწრფელობით და დამსახურებული პატივისცემით!

“სამტრედიის მაცნე”

ნუცა ბუბუბაიშვილი!

კულრატა გოგოს, ძალიან ბედნიერი და ჯანმრთელი რომ გვინდა იყოს, დიდი სიყვარულით ვულოცავთ დაბადების დღეს. ღიმილიანი და გულწრფელი სიყვარულით სავსე ყოფილიყოს მისი ყოველი დღე. მზით გაბრწყინებული დღეები დაეხედოს მზესავით ლამაზს და ხალასს. ცისფერი ოცნებები საუკეთესო სურვილებად ახდენოდეს!

მამა და ანდრია

რედაქციის მისამართი:
სამტრედიის რესპუბლიკის ქ. №6
ტელ: 599 02 41 11

მაცნე

დირექტორი ბაქან გოგია
მთავარი რედაქტორი ქვიციანი თინათინა
გამომწვები რედაქტორი თინა ბაგუნაშვილი
პასუხისმგებელი მდივანი ლეონ ბაბუნაშვილი
კომპიუტერული გრაფიკა მამა პაპაპა